პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 88 (18330) ხუთშაბათი, 15 აპრილი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

**საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი თითოეულ სამუშაო ადგილზე!**

**ვიმუშაოთ დამკვრელურად — აი ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

# ქუთაისის საავტომობილო ქარხანა: რეკონსტრუქცია, პრობლემები, პერსპექტივები

**დღეს** თუ საქმეში ჩაუხედავი კაცი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მოხვდება, ვერ მიხვდება, თუ რატომ აქვს ამდენი საზრუნავი მის კოლექტივს: ქარხანა მუშაობს, კონვეიერიდან ჩამოდის „კოლხეთები", გეგმა სრულდება. არადა, პირზე ყველას ერთი სიტყვა აკერია: „მშენებლობა". და თუ იგი ქარხნის გასასვლელში გავა, მხოლოდ მაშინ დარწმუნდება: მართლაც რომ, მშენებლობა მიმდინარეობს. ამასთან დიდი გაქანების, მასშტაბური მშენებლობა. რად ღირს, მაგალითად, მშენებარე სააგრეგატო კორპუსი, რომლის ფართობი 74 ათასი კვადრატული მეტრია, და რომლის სახურავქვეშ განლაგდება ექვსი საამქრო, მათ შორის დიზელის ძრავების, თერმული და სხვა საამქროები. შენდება საამწყობო-ჩასაბარებელი კორპუსი, ძრავების საცდელი სადგური, სამსხმელო-სარემონტო საამქრო, საწნეხ-სამჭედლო კორპუსი და სხვა საწარმოო ნაგებობანი.

და ყოველივე ეს გამოიხატება ერთი ტევადი ცნებით — რეკონსტრუქცია. მაგრამ რეკონსტრუქციაც არის და რეკონსტრუქციაც: ქუთაისში ფაქტობრივად შენდება ახალი გიგანტი ქარხანა, რომელიც დასპეციალდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დიდი გამავლობის ავტომატარებლის გამოშვებაზე, რის შესახებაც ლაპარაკი იყო სკკპ XXVI ყრილობაზე.

ქარხნის კონსტრუქტორებმა, ქვეყნის დიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სპეციალისტებთან თანამეგობრობით, უკვე დააპროექტეს და შექმნეს სრულიად ახალი ტიპის ავტომობილის საცდელი ნიმუშები, რომლის ტვირთამწეობა 11 ტონა იქნება. იგი ძირითადად დააკმაყოფილებს სოფლის მოთხოვნილებებს. ახლა ამოცანა ის არის, რომ უმოკლეს ვადებში მოგვარდეს მისი სერიული წარმოება.

ქუთაისის ავტოქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება ქვეყნისა და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრშია და მას შეუნელებელ კონტროლს უწევენ. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაფართოების პრობლემები ერთნაირად აწუხებს დღეს ათობით, ასობით საწარმოსა და დაწესებულებას. კამის საავტომობილო ქარხანა, ვოლგის საავტომობილო ქარხანა, მინსკის საავტომობილო ქარხანა და ულიანოვსკის საავტომობილო ქარხანა, იაროსლავლის სამოტორო და ბევრი სხვა ქარხანა ქუთაისს აწვდიან აღჭურვილობასა და მოწყობილობას, მივლინებით გზავნიან სპეციალისტებს დასახმარებლად, ამზადებენ კადრებს.

მაგრამ მშენებლობაზე ყველა პრობლემა რიტმულად როდი წყდება. ყოველთვის ვადაზე ვერ მოდის მოწყობილობა, იგრძნობა საშენი მასალების ნაკლებობა.

იმისათვის, რომ ოპერატიულად დასახულიყო რეკონსტრუქციის პირველი რიგის ამოცანები, განსაზღვრულიყო გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და დადგენილი ვადების შესაბამისად მუშაობის მოგვარების გზები, ქუთაისში გაიმართა მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოების მშენებლობისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის გამსვლელი სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. პოლიაკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ა. ი. ვოლსკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია და დ. ლ. ქართველიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. ს. კობზევი, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრის მოადგილე ა. გ. ჩუბუკოვი, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. მ. ვოევოდინი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ნ. სნოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. დ. მახარაშვილი, ბევრი იმ საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ქუთაისის ავტოქარხნის რეკონსტრუქციასთან.

საქმიან, საგნობრივ სჯაბაასს, რომელიც სხდომაზე გაიმართა, ხელს უწყობდა ისიც, რომ მისი მონაწილენი წინასწარ გაეცნენ რეკონსტრუქციის მიმდინარეობას, ესაუბრნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. საქმის წინასწარმა გაცნობამ ხელი შეუწყო აქტუალური ამოცანების განსაზღვრას, რომლებიც ეხება ყოველ რგოლს, ცალკეული ჩარხების მიწოდებას, მოწყობილობის დამონტაჟებისათვის საჭირო ამა თუ იმ ნაგებობის მზადყოფნის ზუსტ დროს.

შეაჯამა რა სხდომის შედეგები, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ავტომატარებლის სერიული წარმოების მოგვარებას, რომელიც ქუთაისში ხორციელდება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირდაპირი მითითებით, თქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

ყველას ესმის ამ ავტომატარებლის მნიშვნელობა, თქვა მან, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება დასახული ამოცანის უსწრაფესად გადაწყვეტას. მთელი რიგი პრობლემები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ განეკუთვნება, კერძოდ, კადრების პრობლემა. წინასწარვე უნდა ვიზრუნოთ არა მარტო მუშათა, არამედ ინჟინერტექნიკურ მუშაკთა მომზადებისა და გადამზადებისათვის, იმიტომ, რომ ახალი ავტომობილი თვისებრივად ახალი სიტყვაა საბჭოურ ავტომობილმშენებლობაში. ამ პრობლემის გადაწყვეტაში საჭიროა სისტემური მიდგომა, პერსპექტივით მუშაობა.

მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, საწარმოს მუშებმა, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — დავალებით განსაზღვრულ ვადებში გამოუშვან ავტომობილების პირველი დიდი პარტია, ყურადღებით შეისწავლონ ყველა ნაკლი, რომლებიც გამოვლინდება სხვადასხვა პირობებში ახალი მანქანების ექსპლოატაციის დროს, აღმოფხვრან ისინი და დაიწყონ სერიული წარმოება. უნდა გვახსოვდეს, რომ ავტომატარებელზე მოთხოვნილება წლითიწლობით გაიზრდება, ამიტომ, როგორც ჩანს, საჭირო გახდება მისი წარმოების გადიდება.

ქუთაისის ავტოქარხნის რეკონსტრუქცია, თქვა დასასრულ ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. ჩვენ ყველანი ყურადღებით ვადევნებთ თვალს მას, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა კომპლექსურად წყდებოდეს წამოჭრილი პრობლემები, ვადაზე სრულდებოდეს პარტიის დავალება.

(საქინფორმი).



**დ**ღითი დღე მატულობს საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი ცხინვალის რაიონში. თესავენ ქერხალს, ბოსტნეულს და სხვა საგაზაფხულო კულტურებს.

**სურათზე:** სოფლტექნიკის ცხინვალის რაიონული გაერთიანების მექანიზატორი, კომკავშირელი გენადი ტეხოვი.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**თ**ბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა, ნაცვლად 4 მილიონ 689 ათასი მეტრისა, მომხმარებელს 4 მილიონ 698 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი მიაწოდა. შესრულდა რეალიზაციის გეგმაც.

გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. თავი გამოიჩინა საქსოვი საამქროს № 4 ბრიგადის მქსოველმა თამილა ხაფთანმა. იგი ყოველდღიურ დავალებას 125 პროცენტით ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს საერთო წარმატებებში.

**სურათზე:** თამილა ხაფთანი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.



## შაბათობა გვიხმობს

### ცხინვალი

**ლენინური** შაბათობა ცხინვალში წელს განსაკუთრებული იქნება. ეს დღეები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 60 წლის თავის ზეიმისათვის მზადებას ემთხვევა.

შაბათობის მაღალ ორგანიზებულ დონეზე მოწყობის მიზნით ყველა წარმოება-დაწესებულებაში გაიმართა შაბათობის მომწყობი შტაბების სხდომები, რომლებზეც დასახეს კონკრეტული ღონისძიებები, საქალაქო შტაბის ცნობით, 17 აპრილს შაბათობაზე გამოვა 22.210 კაცი. საწარმოო უბნებზე იმუშავებს 3.700, ხოლო ტერიტორიების კეთილმოწყობაზე დასაქმებული იქნება 18.510 კაცი. ამ დღეს ქალაქის საწარმოები გამოუშვებენ 240 ათასი მანეთის პროდუქციას.

630 მუშა პროდუქციას დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით გამოუშვებს.

ლენინურ შაბათობაზე 1200 კაცი მშენებლობაზე იშრომებს. ამ დღეს ტრანსპორტელები ახალი ავტოსამგზავრო საწარმოს ჩააყენებენ მწყობრში. 200 კაცი იმუშავებს მისი ტერიტორიისა და ნაგებობათა კეთილმოწყობაზე.

შაბათობაზე გამომუშავებული თანხიდან 27 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება. (საქ. კორ.).

### თელავი

**ვ. ი. ლენინის** დაბადების 112-ე წლისთავის იუბილესათვის მზადების დღეებში ერთხელ კიდევ გაიმართა ლენინური შაბათობის მომწყობი შტაბის სხდომა, რომელმაც ამჯერად მოისმინა რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების ანგარიშები.

ამავე სხდომაზე ისიც დაზუსტდა, თუ სად, რა რაოდენობის ტრანსპორტი იმუშავებს სამუშაო უბნებზე, რაიონის ტერიტორიის გასამწვანებლად საიდან და რა რაოდენობის ნერგებს მიიღებენ მიმაგრებული შტაბის წევრები.

ახლა გარკვეულია, რომ 17 აპრილს რაიონში შაბათობაზე გამოვა 38.650 კაცი. მათ შორის თავის სამუშაო ადგილზე იმუშავებს 14.500, რაიონის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებზე დასაქმებული იქნება 23.000 კაცი, რომლებიც 6.000 ნერგს დარგავენ, შეაგროვებენ 60 ტონაზე მეტ ჯართს.

შტაბის სამუშაო გეგმის მიხედვით ამ დღეს დაიზოგება 10.000 მანეთის ნედლეული, საწვავი, ელექტროენერგია. გამომუშავებული თანხიდან ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 35 ათასი მანეთი. (საქ. კორ.).

## ჯილდოები — მელიორატორებს

**გაიმართა** გურჯაანის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის რაიონული სამმართველოს კოლექტივისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

კოლექტივს ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. ქაჯაიამ.

გასულ წელს, აღინიშნა კრებაზე, რაიონული სამმართველოს მელიორატორებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მაგალითად, მთლიანად მოირწყა საზოგადოებრივ მეურნეობათა 21217 ჰექტარი მიწები და პირადი საკარმიდამო ნაკვეთები. ამის მეოხებით შარშან მკვეთრად გაიზარდა მოსავლიანობა. (საქინფორმი).

რესპუბლიკაში გრძელდება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. კომუნისტებსა და უპარტიოებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებს შრომითს კოლექტივებში მიმდინარე საარჩევნო კრებების მონაწილენი ნდობას უცხადებენ. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ასახელებენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატობის კანდიდატებად, აძლევენ მათ განაწესს იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის საიმედო გამტარებლები, ერთგულად ემსახურონ თავიანთ ხალხს, სოციალისტურ სამშობლოს — სსრ კავშირს, რომელიც წელს ზეიმობს თავის სახელოვან მე-60 წლისთავს.

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს თავის დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ზეინკალი მარინე ალექსის ასული შენგელაია. ასე-

*ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად*

## ნდობის ღირსნი

თივე მაღალი ნდობა გამოუცხადეს ამ საწარმოს მღარავსაც ვალენტინა იაგორის ასულ აბვერდოვას, ხოლო გაერთიანების ორი ელექტრომემონტაჟე — ლია გრიგოლის ასული ველითაური და ევგენია ედუარდის ასული მოვსესიანი დაასახელეს ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივის კრებამ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამ ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძე დაასახელა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საბჭოთა კავშირის გმირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი დავით ვასილის ძე ჯაბიძე საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა წინასაარჩევნო კრებაზე.

იმათ შორის, ვინც შრომითმა კოლექტივებმა დაასახელეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, არიან აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „საქლვინომანქანის" 26 კომისრის სახელობის ქარხნის ზეინკალი სტანისლავ პეტრეს ძე ჩებოტაროვი, გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის ელექტრომემონტაჟე მზია გივის ასული ლომიძე, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" ელექტრიკოსი ნუგზარ ნიკოლოზის ძე გოგოლაშვილი, № 1 ავეჯის ფაბრიკის დურგალი ზურაბ ვასილის ძე კახელიშვილი და საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის სხვა ღირსეული წარმომადგენლები.

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ზურაბ გიორგის ძე ფირცხალაიშვილი და საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" აირმჭრელი ნუგზარ შალვას ძე სახოკია თავიანთმა შრომითმა კოლექტივებმა დაასახელეს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, ხოლო ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი მანანა ხერგის ასული კვინიკაძე. „თბილისმრეწვმშენის" № 3 ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შემდუღებელი გივი ამირანის ძე კირვალიძე დასახელებულია ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მშრომელებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს მოწინავე მუშა სვეტლანა გრიგოლის ასული ლაზბა.

(საქინფორმი).

# მისალოცი დეპეშა

**ამხანაგმა** ლ. ი. ბრეჟნევმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ სამოცდაათი წლის თავს.

მოძმე კორეელმა ხალხმა კორეის შრომის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პირადად თქვენი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის მშენებლობაში და დღეს დაძაბულად შრომობს კორეის შრომის პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეორე შვიდწლიანი გეგმის ამოცანათა განხორციელებისათვის, სამართლიანად იბრძვის დემოკრატიულ საწყისებზე თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე შეესაბამება საბჭოთა და კორეელი ხალხების ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს.

გისურვებთ, ამხანაგო კიმ ირ სენ, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოდ და სასიკეთოდ".

(საკდესი).

## ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის კურსით

**საქართველოს** დედაქალაქში მიმდინარეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ თემაზე „80-იანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად".

14 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა მორიგი კითხვა. იდეოლოგიური აქტივის წინაშე მოხსენება „სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამაღლება და სპეციალიზაციის გაღრმავება საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კითხვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

### გამოცდილება

# ბარდის სიკეთე

**ფართოდ გავავრცელოთ სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება პარკოსანი კულტურების, განსაკუთრებით ბარდის, უხვი მოსავლის მისაღებად.**

**სამტრედიის** კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობას ბევრი სახნავი არა აქვს, მაგრამ რაც აქვს — 520 ჰექტარი — ზედმიწევნით ინტენსიურად იყენებს. აქ ყოველი მტკაველი მიწის ყადრი იციან, ამიტომაც არის, რომ ყოველწლიურად უხვი მოსავალი მოჰყავთ. ამის წყალობით კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებს ბლომად აქვთ პირუტყვის საკვები და შედეგებითაც ამაყობენ. ერთ საფურაჟე ძროხაზე ნაცვლად საგეგმო 2400 კილოგრამისა საშუალოდ 2.662 კილოგრამ რძეს იღებენ. ეს მაჩვენებელი რეკორდულია მთელ რაიონში.

კიკვიძელ კოლმეურნეებს განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ბარდის წარმოებაში. ამ უხვცილოვანი კულტურის მოყვანაში აქაურებს ბადალი არა ჰყავთ მთელ რესპუბლიკაში.

ბარდას კოლმეურნეობაში 25 ჰექტარი აქვს დათმობილი რიონის მარჯვენა სანაპიროზე.

— ბარდა ყველა ბოსტნეულ თუ ბაღჩეულ კულტურაზე უფრო ხელსაყრელია, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ორგზის ლენინის ორდენოსანმა თამარ თავაძემ, — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ნაკლები ჯაფა სჭირდება და, მეორეც, კარგ შემოსავალსაც გვაძლევს. ბარდას მანქანებით ვთესავთ და მოსავლის აღებამდე გაცილებით ნაკლები შრომა სჭირდება. ეს არის რომ, როცა მოსაკრეფად შემოვა მისი ლორთქო პარკები, სულ ბევრი, 3-4 დღეში უნდა მოკრიფო და ჩააბარო საკონსერვო წარმოებას. ამ პერიოდში ქუდზე კაცი გამოგვყავს, მოსავალს უდანაკარგოდ ვიღებთ. ბარდისაგან საკონსერვო ქარხანა ძვირფას კონსერვებს ამზადებს და აწვდის მომხმარებელს. კარგად შეკაზმული ბარდის კონსერვი ძალზე გემრიელია. ასე რომ, ქვეყნის სასურსათო პროგრამაში მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. ბარდა სხვა მხრივაც არის საინტერესო. მისი ნამჯა ცილებით მდიდარია და პირუტყვის საკვებად სხვა ვერაფერი შეედრება. ამაში მრავალი ათეული წლის საკუთარმა გამოცდილებამაც დაგვარწმუნა. ბარდით მაძღარი პირუტყვი მეტსაც იწველის და შესამჩნევადაც მატულობს წონაში.

ბარდის დიდ სიკეთეზე კონკრეტული მაგალითებიც კი მოგვიყვანა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა, პარტიული ბიუროს მდივანმა კუკური ბანძავამ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბარდის მოსავალს ადრე, ივნისში იღებენ კიკვიძელები. შემდეგ კი ამ ფართობზე ბალახს თესავენ და ასობით ტონა პირუტყვის საკვებს აწარმოებენ.

მეცხოველეობის ფერმის გარშემო ჩვენ ვნახეთ 40 ჰექტარზე მეტი მწვანე მოხასხასე შვრიისყანები. ჩვენი ყურადღება აქა-იქ დარჩენილმა „ხელისგულისოდენა" მოცდენილმა ნაკვეთებმა მიიპყრო. ადგილ-ადგილ მოცდენილი ადგილები ხელმეორედ დაუთესავთ.

— შვრიის ნათესებში ბარდაც რატომ შეურევიათ? — ვკითხეთ თავმჯდომარეს.

— მიწა რომ არ მოცდეს! — მოკლედ მომიჭრა.

ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ კიკვიძელები თვალისჩინივით უფრთხილდებიან, უვლიან და ჩინებულად იყენებენ მიწას. ამიტომაც არის, რომ აქ რენტაბელობის დონე 27,8 პროცენტია. რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობაში კი რენტაბელობა 1-2 პროცენტს არ აღემატება.

გულსატკენია, მაგრამ ფაქტია, რომ შარშან რაიონის ყველა კოლმეურნეობამ ერთად 16 ტონა ბარდა ჩააბარა სახელმწიფოს, კიკვიძის კოლმეურნეობამ კი — 55 ტონა, ესე იგი 5-ჯერ მეტი. ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მოიწიეს, რაც შესაბამის რაიონულ მაჩვენებელს 11 ცენტნერით აღემატება.

კიკვიძელები ამბობდნენ — ბარდის აღების დროს ცხელი ქარები დაგვესწრო და მოსავალი დაგვიზიანა, გადაგვიუხეშა. თორემ უფრო მეტსაც მოვიწევდითო. მაგალითად, 1980 წელს 100 ტონაზე მეტი ბარდა დაამზადეს და 40 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს. აქაური კოლმეურნე ერთ შრომადღეზე 15● მანეთს ფულად ღებულობს და ნატურით 5-8 კილოგრამ სიმინდის მარცვალს. მარტო მეცხოველეობიდან შემოსავალი 327 ათას მანეთს აღწევს, მებოსტნეობიდან 148 ათას მანეთს. ყოველივე ეს კი მიწის გონივრული და ინტენსიური გამოყენების შედეგია.

განა კიკვიძელებზე ნაკლები მიწები აქვთ სხვებს?

ამის საილუსტრაციოდ შორს როდი წავალთ. მაგალითისათვის ავიღოთ მელაურის სტურუას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მეზობელია. სახნავი მიწებიც (870 ჰექტარი) იქვე, ცხენისწყლის ნაპირზე აქვთ. მაგრამ რა, ეს საუკეთესო უხვმოსავლიანი მიწები გინდ ჰქონიათ, გინდ არა. ვერ იყენებენ. კოლმეურნეობის მესვეურებმა ისე დააკნინეს საზოგადოებრივი მეურნეობა, რომ ყოველწლიურად მცირე მოსავალი მოჰყავთ. სამაგიეროდ, ხელი სამარცხვინოდ აქვთ გაწვდილი სახელმწიფო ბანკისაკენ.

რა სჭირთ სხვისი დასახმარებელი მელაურელებს? კოლმეურნეობაში 970 ოჯახია, მათგან მხოლოდ 140 კაცი მუშაობს, ესე იგი ყოველი 9 ოჯახიდან მხოლოდ ერთი კოლმეურნე. ეს საზოგადოებრივი შრომისადმი თავის არიდებაა და მეტი არაფერი. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე — თენგიზ წითელაშვილი, პარტბიუროს მდივანი — იოსებ გეფერიძე) არ იყენებენ არტელის წესდებით მინიჭებულ უფლებებს. ამიტომ არის, რომ აქ ზარმაცები და მუქთახორები მომრავლდნენ, უქნარები სოფლის ხელმძღვანელების უნიათობის გამო თავს არხეინად გრძნობენ, საკოლმეურნეო შრომას გაურბიან, თავს ქალაქის ამა თუ იმ წარმოებას აფარებენ, საკარმიდამო ნაკვეთს კი სრულად ფლობენ.

ერთი კია, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ყოველი წლის დასაწყისში რიხიან ვალდებულებებს კისრულობენ. ეს არის და ეს, ვალდებულებები ქაღალდზე რჩება, თავმჯდომარის ან პარტბიუროს მდივნის სეიფში საგულდაგულოდ შენახული. ასე იყო შარშანაც, სახელმწიფო გეგმის შესრულებას რამდენიმე ათეული ტონა სიმინდის მარცვალი და ბოსტნეული დააკლეს. საგეგმო 580 ტონის ნაცვლად მიიღეს 340 ტონა სიმინდი, მიიღეს 560 ტონა ხილბოსტნეული, გეგმა კი 650 ტონის ჩაბარებას ითვალისწინებდა.

მელაურელებს ნაკისრი ჰქონდათ აგრეთვე სულ ცოტა 9 ტონა ბარდა დაემზადებინათ, მაგრამ ერთი ტონის დამზადება მოახერხეს — იმაზე სულ ცოტათი მეტისა, რაც დათესეს. წლევანდელი წლის 3 თვე გავიდა, მაგრამ კოლმეურნეობაში არავითარი ძვრა არ იგრძნობა. პირიქით, შარშანდელთან შედარებით 65 ცენტნერით შემცირეს წველადობა, ერთ საფურაჟე ძროხაზე 14 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს.

უფრო მეტი საყვედურის ღირსნი არიან იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — მ. ცინცაძე) მესვეურები. იანეთლებს ორჯერ მეტი და ნაყოფიერი მიწები აქვთ რიონისა და გუბის წყლის სანაპიროებზე. მაგალითად, მათს განკარგულებაშია 1.886 ჰექტარი მიწა, მათ შორის 1.406 ჰექტარი სახნავია, მაგრამ ყოველწლიურად ბარდის სამარცხვინოდ მცირე მოსავალს იღებენ და პირუტყვის საკვებს ცხრა მთის იქიდან ეზიდებიან. მამასისხლად ყიდულობენ ნამჯასა და თივას. ამიტომ არის, რომ მეცხოველეობისაგან ყოველთვიურად 50 ათას მანეთს ზარალობენ. იანეთლებს არც კი უფიქრიათ ისეთი ძვირფასი კულტურის თესვა-მოყვანაზე, როგორიც ბარდაა. არ გვინდა ვინმეს გული ვატკინოთ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. რად უნდათ იანეთლებს ეს ნოყიერი ათასობით ჰექტარი მიწები, თუ ინტენსიურად ვერ გამოიყენებენ?! ასე უკუღმა რატომ ესმით აქ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლა?! იქვე, მათ გვერდით არიან კიკვიძელები, მათი გამოცდილება რომ გაეზიარებინათ, ხომ მოიგებდნენ?

ნუ გეწყინებათ, მელაურელებო და იანეთლებო, მიდით, ინახულეთ თქვენი კარის მეზობელი კიკვიძელი კოლმეურნეები, ნახეთ, იმავე მიწაზე, იმავე პირობებში როგორ მიაღწიეს ბარდის უხვი მოსავლის მიღებას.

კარგი იქნებოდა, სამტრედიის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებს ახლა მაინც ეფიქრათ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებაზე.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 112-ე წლისთავისათვის

# ლენინი მუდამ ჩვენთანაა

...ალისფერი აბრეშუმის ტილო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გამოუფენიათ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. ზედიზედ ცხრაჯერ მიენიჭა რესპუბლიკას ეს საპატიო ჯილდო ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. დროშა სიმბოლურად გამოხატავს საქართველოს მშრომელთა მიღწევებს, რომლებიც მათ მოიპოვეს ახალი საზოგადოების მშენებლობის შესახებ ლენინის ანდერძის განხორციელების შედეგად. სწორედ ამიტომ არის იგი ექსპონირებული პროლეტარიატის ბელადის სახელობის მუზეუმში.

ამ დღეებში მუზეუმში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა.

როცა ილიჩის მშობლიური სახის ნაკვთებს უკვირდება, ლენინის ბიოგრაფიის ფურცლებს უფიქრდება, მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ ჯარისკაცი, კიდევ და კიდევ ეთათბირება რევოლუციის გენიას, უჯერებს თავის ცხოვრებას, ამოწმებს კომუნიზმისათვის მამაც მებრძოლთა ცხოვრებით. ლენინი ჩვენთან არის — ეს მომავლისადმი ჩვენი რწმენის, ჩვენი ოპტიმიზმის უმთავრესი წყაროა.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია. ეს არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი. ხალხთა ლენინური მეგობრობა ჩვენი მთავარი საუნჯე, კომუნისტური აღმშენებლობის დიადი ძალაა.

ექსპოზიციაში თვალსაჩინო ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკების — რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის გერბები, რომელთა ინიციატივითაც დაიდო საკავშირო ხელშეკრულება. აქვეა ჩვენი ქვეყნის იმ პერიოდის გეოგრაფიული რუკა და სსრ კავშირის საბჭოების ისტორიული პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. სტენდზეა სრულიად საკავშირო მამასახლისის მიხეილ ივანეს ძე კალინინის საბოლოო სიტყვის გულში ჩამწვდომი სტრიქონები: „მთელი საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობის უთვალსაჩინოესი მოაზროვნენი თავს იმტვრევდნენ თეორიულ პრობლემაზე იმ ფორმების ძიებისათვის, რომლებიც ხალხებს შესაძლებლობას მისცემდა უდიდესი ტანჯვის, ურთიერთბრძოლის გარეშე ეცხოვრათ მეგობრულად და ძმურად. მხოლოდ ახლა, დღევანდელ დღეს ეყრება საფუძველი ამ საქმეს“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. მან აღმოაჩინა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო კავშირის ახალი ფორმა, რომელიც შეესაბამება მათი სრული თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობითი გაერთიანების მოთხოვნებს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ლენინური დოკუმენტები აცოცხლებენ ეპოქას, რომელმაც დასაბამი მისცა ამიერკავკასიის ხალხთა ახალ ისტორიულ ბედს. მათ შორის არის „პროექტი დებულებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ“, ა. თ. მიასნიკოვის მიერ ჩამოტანილი ცნობილი წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“. ხორცი შეისხა მასში გამოთქმულმა ვლადიმერ ილიას ძის ნათელმა ოცნებამ კავკასიაში ეროვნული მშვიდობის ნიმუშის შექმნის შესახებ, რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიის ეპოქაში და შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან ახალ დოკუმენტურ მასალებს — ვ. ი. ლენინის მიმოწერას გ. კ. ორჯონიკიძესთან.

უკანასკნელ დრომდე მუზეუმის ექსპოზიციის დათვალიერება მთავრდებოდა ფილმის — „ცოცხალი ლენინის“ — დემონსტრაციით. ახლა ამის შემდეგ დამთვალიერებლები ნახულობენ ილიჩის სკულპტურულ პორტრეტს, რომელიც ლამარა ქელიძემ შეასრულა ძველი ფოტოსურათის მიხედვით. მისი ისტორია ასეთია. ბელადის ბიუსტი თბილისელმა მშრომელებმა და ლეგენდარული მე-11 არმიის მეომრებმა ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა დადგეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ცენტრში. მაგრამ მასალა, რომლიდანაც ბიუსტი გამოიკვეთა, გამძლე არ აღმოჩნდა. და აი, ახლა პორტრეტი აღდგენილია.

მიმდინარე წლის სამ თვეში მუზეუმში იყო 70 ათასზე მეტი მუშა, კოლმეურნე, მოსწავლე, საბჭოთა არმიის მეომარი, მთელი რესპუბლიკიდან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმარი.

... №36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელები მუზეუმში მოვიდნენ თავიანთი დირექტორის, სახელმოხვეჭილი მქსოველის, სოციალისტური შრომის გმირის ეთერ სოლომონიას ხელმძღვანელობით. ყურადღებით ისმენენ ექსკურსიამძღოლის საუბარს თბილისის პირველი მაისის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ფაბრიკის მქსოველები. მათ ახლახან გადაეცათ სრულიად საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და ისინი თითქოს მოახსენებენ ვლადიმერ ილიას ძეს, რომ მისი ანდერძის ერთგულნი არიან.

უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი მუზეუმში, რათა შეხვდეს ლენინს, გაუზიაროს მას თავისი ფიქრები და მისწრაფებანი, ეთათბიროს, გულით უთხრას, რომ მტკიცედ ადგას მის მიერ ნაჩვენებ გზას, ადგას მის მიერ შექმნილი კომუნისტთა პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

მ. ტრასკუნოვი
(საქინფორმის კორ).

## დღის მოთხოვნათა დონეზე

გაიმართა საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის XIV საოლქო კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ხ. პარასტაევმა, ხოლო საზოგადოების საოლქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შედეგები კონფერენციის დელეგატებს მოახსენა კომისიის თავმჯდომარემ ზ. თედეევამ.

პირველ პლენუმზე საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ტეხოვი.

(საქინფორმი).

# იზრდება მეცნიერთა წვლილი

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მზარდი მონაწილეობა მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებაში, სამეცნიერო კვლევის დაახლოება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებთან, რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან შემოქმედებითი კავშირურთიერთობის განმტკიცება, მეცნიერული კვლევის ინტენსიფიკაცია, — ასეთია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

ქართველ მეცნიერთა 1981 წლის მუშაობის შედეგები, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ამოცანები, აგრეთვე მეცნიერების მოღვაწეთა წინაშე დასახული ამოცანები, რომლებიც მოცემულია კომუნისტებისადმი, საქართველოს ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით, განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიურმა კრებამ.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები, მინისტრები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ გააკეთა მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები და სამეცნიერო კოლექტივები, აღნიშნა მომხსენებელმა, თავიანთ მუშაობას წარმართავენ ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან, საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის დიდი კომპლექსური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტასთან მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის დაჩქარებასთან მისი კავშირის გაძლიერების გზით.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებანი მონაწილეობენ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ პრობლემებზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი პროგრამების, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წამყვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების პროგრამების შესრულებაში. ამასთან ერთად, მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური დაწესებულებანი და ორგანიზაციები ახორციელებენ სამეცნიერო და სოციალური ხასიათის რესპუბლიკურ კომპლექსურ პროგრამებს. მათ შორის არის პროგრამები, რომლებიც ეხება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას, 1985-2000 წლებისათვის მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირებას, 2000 წლისათვის საქართველოს სსრ რეგიონების ტექნოლოგიურ და სოციალურ განვითარებას, ხელის შრომის მექანიზაციას, კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობასა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებას, ჭიათურის საბადოს მანგანუმის მადნის მოპოვების ეფექტიანობის ამაღლებასა და კომპლექსურ გადამუშავებას, კოროზიისაგან ლითონკონსტრუქციათა, მიწისძვრისაგან კომუნიკაციათა და ნაგებობათა დაცვას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი ცეოლითების რაციონალურ გამოყენებასა და ა. შ.

ქართული საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს ყოველდღიური და დაუცხრომელი ზრუნვის, კონკრეტული და რეალური დახმარების მეოხებით, — აღნიშნა ორატორმა, — აგრეთვე სკკპ XXV და XXVI ყრილობების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მოთხოვნათა სულისკვეთებით მეცნიერთა და სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის გარდაქმნის შედეგად განვლილ ათწლეულში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა აკადემიის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებაში, მეცნიერ თანამშრომელთა ფონდაღჭურვილობის ამაღლებაში.

სამეცნიერო-კვლევითი ბაზის უპირატესმა განვითარებამ ხელი შეუწყო წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაუმჯობესებას. ამას ცხადყოფს საქმის ფაქტობრივი მდგომარეობაც: თუ 1971 წელს ქართველ მეცნიერთა დანერგილმა გამოკვლევებმა და ნამუშევრებმა სახალხო მეურნეობას დაახლოებით მილიონი მანეთი ეკონომიკური ეფექტი მისცა, 1981 წელს იგი 40 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

საქართველოს მეცნიერების უპირველესი ამოცანების შესახებ საუბრისას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, კერძოდ, შეეხო ისეთი გზებისა და საშუალებების ძიების საჭიროებას, რომლებიც შექმნიან პირობებს, რომ მეცნიერების ყველა დარგი უაღრესად იყოს დაინტერესებული სახალხო მეურნეობის, მისი ამა თუ იმ დარგის განვითარებით. ამით გარკვეული მატერიალური ბაზა შეექმნება მეცნიერებას თავისი დარგის შემდგომი აღმავლობისთვისაც.

ქართული მეცნიერების მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკამ უნდა გადაწყვიტოს სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც განსაზღვრეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა: 80-იანი წლები უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან საქართველოს სს რესპუბლიკის შედარებითი ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი. საქართველოს რესპუბლიკის, მისი პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მესამე გადამწყვეტ ეტაპზე მეცნიერთა ვალია უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმაში, რომ პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ლენინური პრინციპების აღდგენისა და სრული გამარჯვებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის მიერ ათი წლის წინათ დაწყებული ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

1981 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. სეხნიაშვილმა.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ასრულებდნენ, აკადემიის მეცნიერები იკვლევდნენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, ენერგიულად მონაწილეობდნენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის დაჩქარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაში, მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

გრძელდება ფუნდამენტური გამოკვლევები მათემატიკის, მექანიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, მართვის თეორიის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში, გამოყენებითი გამოკვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ელექტრონიკისა და ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის, ენერგეტიკის პრობლემების, მეტალურგიისა და მანქანათმცოდნეობის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, გარემოს დაცვის დარგში და სხვ. მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი მიზნად ისახავს მათი შედეგების პრაქტიკულ განხორციელებას.

განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებაში, კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები შექმნა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დიალექტიკური დაახლოებისათვის.

საანგარიშო წელს საზოგადოებათმცოდნეები განაგრძობდნენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მეცნიერული მართვის, დაგეგმვის, სამეურნეო მექანიზმის, შრომის ორგანიზაციისა და მისი მატერიალური და მორალური სტიმულირების სრულყოფის თეორიული საფუძვლების შემუშავებას, სწავლობდნენ ადამიანების შემოქმედებითი საქმიანობის გამააქტიურებელ მრავალფეროვან ფაქტორებს. ისინი იკვლევდნენ მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, გამოყენებითი სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, სახელმწიფოსა და სამართლის, პოლიტიკური ეკონომიისა და გამოყენებითი ეკონომიკის დარგში.

დიდი წვლილი შეიტანეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებაში ლინგვისტებმა, ფილოლოგებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და სხვ. გრძელდებოდა იმ ენების შესწავლა, რომლებიც ისტორიულ-გენეტიკურად მჭიდროდ უკავშირდება ქართულ ენას, ამუშავებდნენ თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიულ პრობლემებს, უმდიდრესი ძველი ქართული ლიტერატურის, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების თეორიულ პრობლემებს, სწავლობდნენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე, მეცნიერების სხვა დარგებთან შედარებით, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები რესპუბლიკაში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა.

რესპუბლიკის ავტონომიური რეგიონების ისტორიის, ლიტერატურის, ენის, ეკონომიკის, ფლორის დარგში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები მიმდინარეობდა აფხაზეთის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში. ბოლო ათწლეულის მანძილზე სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა მათი მატერიალურ-კვლევითი ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამ საგრძნობ შედეგებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ მიაღწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით.

კარგი წანამძღვრები შეიქმნა იმისათვის, რომ მეცნიერებათა აკადემიამ წარმატებით გადაწყვიტოს მიმდინარე ხუთწლედში და მთლიანად 80-იან წლებში სკკპ XXVI ყრილობის მიერ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანები.

კრებამ მოისმინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ფრანგიშვილის მოხსენება „ცხოვრების სოციალისტური წესის დამკვიდრება და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერული საფუძვლები“.

მოხსენება „თვისებრივი ძვრები ეკონომიკის მართვის ფორმებსა და მეთოდებში“ გააკეთა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. გუნიამ.

შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. თავხელიძემ წაიკითხა სამეცნიერო მოხსენება „ფერადი კვარკები და მატერიის აღნაგობის თანამედროვე პრობლემები“.

კრებაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელობითი პრემიები გადაეცათ მათემატიკის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის. აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა. ბიწაძეს. აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის პრემია გადაეცა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ე. ობოლაშვილს.

რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს გადაეცათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1981 წლის მედლები და პრემიები. ისინი მიენიჭათ თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს გ. ჯაფარიძეს ნაშრომისათვის „დეტერმინიზმი, შემთხვევითობა და თავისუფლება“, თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტს ნ. აფციაურს ნაშრომისათვის „კორიუნის პიროვნების პრობლემა არმენოლოგიაში“, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტებს თ. სამჭკუაშვილს, პ. ბოჩიკაშვილს, ფ. კობახიძეს ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში გრაფიკული გამოსახულების ციფრული შეყვანის მოწყობილობის შემუშავებისათვის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს გ. ხიმშიაშვილს გამოკვლევისათვის „სწორი გამოსახულების ლოკალური დონის შესახებ“ და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ვ. ყულიჯანიშვილს ნაშრომისათვის „ქრომოსფერული სპიკულების დინამიკის შესწავლა დიდი კორონოგრაფის მეშვეობით“.

საერთო წლიურ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა დირექტორები, მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

# ასახელებენ ღირსეულთ

## სახალხო მოსამართლეთა არჩევნები

რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოვდება მზადება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნებისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის. განისაზღვრა სახალხო სასამართლოების რიცხვი — 88, აგრეთვე ამ სასამართლოთა სახალხო მოსამართლეების არჩევნების საარჩევნო ოლქების რიცხვი — 175. ეს ციფრები რამდენადმე აღემატება წინა არჩევნების მაჩვენებლებს, რაც განპირობებულია ახალი რაიონების შექმნით. უკვე დამტკიცდა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობებიც.

ცნობილი გახდა აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობები. 13.821 კომისიის შემადგენლობაში შევიდა 149.347 კაცი. ესენი არიან კომუნისტები და უპარტიოები, კომკავშირელები და ახალგაზრდები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებმაც თავდადებული შრომით და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით დაიმსახურეს თავიანთი კოლექტივების პატივისცემა, მათი ნდობა.

ღირსეულთ ასახელებენ რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ სრულუფლებიან წარმომადგენლებად სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე წარმომადგენლობით ორგანოებში.

(საქინფორმი).

14 აპრილი

საერთაშორისო ცხოვრება

# დღედამის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ამას თვითონ აღიარებენ

# რეიგანის ყალბი წანამძღვრები

სან-ფრანცისკო. როცა უარყოფს წინადადებას ბირთვული იარაღის შემდგომი წარმოების, გამოცდისა და განლაგების სრული გაყინვის შესახებ, რეიგანის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს ყალბი წანამძღვრებით. ამას აღნიშნავს გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე გ. სკოვილი.

პრეზიდენტ რეიგანის განცხადება იმის შესახებ, რომ ასეთი ღონისძიება თითქოს ამკვიდრებდეს საბჭოთა კავშირის უპირატესობას სტრატეგიულ შეიარაღებაში, ფუჭი მონაგონია, აღნიშნავს იგი. შეერთებულ შტატებს, წერს ავტორი, აქვს 9 ათასი ბირთვული მუხტი, მაშინ როცა საბჭოთა კავშირს აქვს 7 ათასი. საერთოდ კი, აღნიშნავს ავტორი, რაიმე უპირატესობაზე ლაპარაკი პირობებში, როცა თითოეულ მხარეს აქვს ერთმანეთის მრავალგზის მოსპობის შესაძლებლობა, სულ ცოტა, უაზრობაა.

კრიტიკას ვერ უძლებს ადმინისტრაციის მტკიცებაც იმის შესახებ, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების უდავო სამხედრო უპირატესობას შეუძლია მოჰყვეს წარმატება სსრ კავშირთან მოლაპარაკებაზე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ასეთი პოზიცია, წერს სკოვილი, აუცილებლად გამოიწვევს გამალებული ბირთვული შეიარაღების შემდგომ ესკალაციას. ვერ დაეთანხმებით რეიგანის ადმინისტრაციის აზრსაც იმის შესახებ, რომ ორი ქვეყნის ბირთვული პოტენციალების არსებულ დონეთა გაყინვა თითქოს არ ექვემდებარებოდეს შემოწმებას.

ამრიგად, აღნიშნავს სკოვილი, ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული არგუმენტები ბირთვული იარაღის გაყინვის წინააღმდეგ სავსებით უსაფუძვლოა. მან პრეზიდენტ რეიგანს მოუწოდა გადასინჯოს თავისი მიდგომა ამ წინადადებისადმი, რომელიც, თუ იგი განხორციელდება, დიდი წვლილი იქნება გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკავებასა და საშიში ბირთვული ომის თავიდან აცილებაში.

# ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

● შეტაკების საფრთხე მატულობს ● ვაშინგტონის ფარული მიზნები ● ა. ჰეიგი შეშფოთებულია

ლონდონი. ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო ინგლის-არგენტინის კონფლიქტში სულ უფრო მატულობს შეიარაღებული შეტაკების საფრთხე. ეს დასკვნა გამოაქვს გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“, რომელიც გამოხატავს ლონდონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის ვიზიტს. ჰეიგი შეხვდა ინგლისის პრემიერ-მინისტრს მ. ტეტჩერს. „მეტად საგანგაშო ვითარება იქმნება“, — წერს ლონდონის მეორე გაზეთი „დეილი მეილი“.

მ. ტეტჩერთან და ინგლისის მთავრობის მინისტრებთან თითქმის 12-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ა. ჰეიგმა განაცხადა: ამ მოლაპარაკების დროს მივაღწიეთ ერთგვარ პროგრესს, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მთელი რიგი მნიშვნელოვანი სიძნელეები. არ ხდება არავითარი შერიგება, და არც ყოყმანი, არც პაუზა არ არის საომარ მზადებაში.

ა. ჰეიგმა, ასკვნის „დეილი მეილი“, „ვერ შეძლო ეპოვა გამოსავალი“ ინგლისისა და არგენტინის ურთიერთობაში შექმნილი ჩიხიდან. „მ. ტეტჩერმა, — წერს გაზეთი, — აშკარად აგრძნობინა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, რომ სანამ სრულად და ყოველგვარი პირობების დაუთქმელად არ გაიყვანს არგენტინა ჯარებს ფოლკლენდის კუნძულებიდან, ინგლისის დამჯვრელი სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც სამხრეთ ატლანტიკაში გაიგზავნა, კურსს არ შეიცვლიან“.

თუმცა ამერიკის ადმინისტრაცია არაერთგზის განუცხადებია, რომ „ნეიტრალური პოზიცია“ უკავია ინგლის-არგენტინის კონფლიქტში, მაგრამ სინამდვილეში ა. ჰეიგის მისია მოწმობს, რომ თეთრმა სახლმა გააჩაღა ენერგიული ფარული მოქმედება, რათა ყოველგვარ ვითარებაში უზრუნველყოს სამხრეთ ატლანტიკაში ამერიკის პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება.

კერძოდ, ამას ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიერ ინგლისისა და არგენტინის წინაშე წამოყენებული გეგმა შექმნან ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე „სამმხრივი ადმინისტრაცია“ შეერთებული შტატების მონაწილეობით. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება ბუენოს-აირესიდან, ეს წინადადება გადაჭრით უარყო არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. კოსტა მენდესმა, რომელმაც განაცხადა, რომ მიუღებელია ყოველი გეგმა, რომელიც არ ემყარება მალვინის კუნძულებზე არგენტინის სუვერენიტეტის აღიარებას.

აქ ცნობილი გახდა, რომ ბუენოს-აირესში მგზავრობისას, სადაც იგი იმყოფებოდა ლონდონში ჩასვლამდე, ა. ჰეიგმა წამოაყენა წინადადება გაიყვანონ კუნძულებიდან არგენტინის ჯარები, გააუქმონ აქ გუბერნატორის პოსტი და უარი თქვან არგენტინის დროშაზე ფოლკლენდის კუნძულებზე. ლონდონში დაბრუნების შემდეგ მან განაცხადა, რომ არგენტინა არ აპირებს კუნძულებიდან წასვლას და აქ თავისი დროშის მოხსნას, აგრეთვე იგი არ ეთანხმება გუბერნატორის პოსტის ლიკვიდაციას.

ლონდონის პრესას მიაჩნია, რომ მ. ტეტჩერმა მანევრის თავისუფლება დაკარგა, როცა განაცხადა, რომ აპირებს დაიბრუნოს ფოლკლენდის კუნძულები სამხედრო ძალის დახმარებით. ამით მან მთლიანად დაუკავშირა თავისი პოლიტიკური მომავალი არგენტინასთან კონფლიქტის ბედს. როგორც ლონდონის „ტაიმსი“ წერს, ა. ჰეიგი შეშფოთებულია იმით, რომ შესაძლებელია გადადგეს მ. ტეტჩერი, ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ერთგული ნატოელი მოკავშირე.

ნიუ-იორკი. როგორც ტელეკომპანია ენ-ბი-სი არგენტინის სამხედრო-საზღვაო ბაზა პუერტო-ბელგრანოდან იუწყება, აქ გრძელდება სამხედრო ხომალდებზე ტყვია-წამლისა და სურსათის დატვირთვა. „როგორც სარდლობის წარმომადგენლები იუწყებოდნენ, აღნიშნულია გადაცემაში, ბაზაზე შემოღებულია სრული საბრძოლო მზადყოფნა და ჯარისკაცებს გამოუცხადეს, რომ საომარი მოქმედება შეიძლება ყოველ მომენტში დაიწყოს“. არგენტინელთა აზრით, ისინი აპირებენ უახლოეს ხანში ფოლკლენდის კუნძულებზე დამატებით გადასხან სამხედრო მოსამსახურენი და გადაიყვანონ მსუბუქი ტანკები.

## ვაშინგტონის წაქეზებით

### არაბული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადება

ბეირუთი. ამერიკის შეერთებული შტატების სრული თანხმობითა და პირდაპირი წაქეზებით ხდება ისრაელის აგრესიული მოქმედების მკვეთრი ესკალაცია, რასაც მოწმობს სისხლიანი ოპერაციები ისრაელის ოკუპაციის რეჟიმის წინააღმდეგ პალესტინის არაბი ხალხის გამოსვლების ჩასახშობად, ნათქვამია არაბული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, აღნიშნულია განცხადებაში, ხდება ამერიკის იმპერიალიზმის იმ საერთო პოლიტიკის ფარგლებში, რომლის მიზანია საკუთარი პოზიციების განმტკიცება ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან რაიონებში და რეგიონის ქვეყნების ნავთობის სიმდიდრისადმი კონტროლის დაწესება.

არაბული ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა დემოკრატიულ პარტიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდეს ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის—პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით პალესტინელი არაბების ბრძოლას ოკუპირებული არაბული მიწების განთავისუფლებისათვის, თვითგამორკვევისა და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ხელშეუვალი ეროვნული უფლებების განხორციელებისათვის.

● ისრაელ-ლიბანი

# შეჭრის საფრთხე

● ინტენსიური მზადება სასაზღვრო ზონაში ● გ. ტუეინის წერილი უშიშროების საბჭოსადმი

ბეირუთი. სამხრეთ ლიბანს კვლავ რეალურად ემუქრება ისრაელის ფართო შეჭრის საფრთხე. ისრაელის მხედრიონის ინტერვენციონისტულ ზრახვებს მოწმობს სასაზღვრო ზონიდან მიღებული ახალი ცნობები. სამხრეთ ლიბანის აღმოსავლეთ სექტორში უკანასკნელ დღეებში შეინიშნება ისრაელის ქვეგანაყოფების, ტექნიკის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების ინტენსიური გაგზავნა მარჯაიუნის, დეირ-მიმასისა და კფარ-კილის რაიონში.

დიბინის დასახლებული პუნქტის გარეუბნებში მთავრდება შორსმსროლელი არტილერიის ბატარეებისა და რეაქტიული დანადგარების მომზადება. ასობით ისრაელი „კომანდოსი“ თავმოყრილია მარჯაიუნის, კფარ-კილისა და დარდარის ყაზარმებში. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრინავები მზად არიან პირველი ბრძანებისთანავე აფრინდნენ მოედნებიდან, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია კფარ-შუბისა და შებაას მახლობლად.

ნიუ-იორკი. ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის ინტერვენციის გეგმებს მიაპყრობს ერთა გაერთიანების ყურადღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბანის მუდმივი წარმომადგენლის გ. ტუეინის წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი.

ლიბან-ისრაელის საზღვარზე ისრაელის ჯარების თავმოყრა, რაც უკანასკნელ დღეებშიც გრძელდება, ნათქვამია წერილში, ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მთელი რიგი რეზოლუციების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს ისრაელი ლიდერები აშკარად ემუქრებიან ლიბანის ტერიტორიულ მთლიანობას, რაც უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და საერთაშორისო სამართლის ყველაზე ელემენტარულ ნორმებს.

უშიშროების საბჭოში

## საგანგებო სხდომა

ნიუ-იორკი. აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც მოიწვიეს ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ვითარების გამწვავების გამო. იგი განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც სამი დღის წინათ სიონისტებმა ცეცხლი დაუშინეს იერუსალიმში ერთ-ერთ მეჩეთს. სხდომა მოიწვიეს მუსულმანური სახელმწიფოების ჯგუფის თხოვნით.

● სსრ კავშირ-ლაოსი

## საჩუქრად „ლოტოს-2“



სახალხო ლაოსში აკიაფდა პირველი ტელეეკრანები, რომლებიც ლაოსელებს აცნობენ მსოფლიოს ახალ ამბებს, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირიდან, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან. მწყობრში ჩადგა „ინტერსპუტნიკის“ სისტემის კოსმოსური კავშირგაბმულობის სახმელეთო სადგური. სადგური, რომელსაც „ლოტოს-2“ უწოდეს (სურათზე), უზრუნველყოფს საიმედო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირს, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების მიღებას სსრ კავშირიდან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან. „ლოტოს-2“ საბჭოთა კავშირის საჩუქარია ლაოსელი ხალხისადმი.

ვია-საქდესის ფოტო.

სად რა მოხდა

## მოსპეს ბანდა

დელი. ინდოეთის უშიშროების ძალებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ მანიპურის შტატში მოსპეს პროპეკინელ სეპარატისტთა დიდი ბანდა, იუწყება გაზეთი „ინდიან ექსპრესი“. ექსტრემისტებთან ცხარე შეტაკების შედეგად დახოცეს 11 სეპარატისტი და ორი სამხედრო მოსამსახურე. ბანდის მოსპობისას ხელთ იგდეს ჩინური წარმოების იარაღი და ტყვია-წამალი.

## მიწისძვრის მსხვერპლნი

პარიზი. შვიდი ათასი სამხრეთაფრიკელი მაღაროელი 10 საათით აღმოჩნდა მიწის ქვეშ „დამარხული“ ქალაქ ველკომის მახლობლად მდებარე შახტში მას შემდეგ, რაც ყველა გამოსასვლელი ძლიერი მიწისძვრის შედეგად ჩაიხერგა. მიწისძვრის ბიძგმა რიხტერის შკალით 5 ბალს მიაღწია. ამჟამად მაღაროელთა უმრავლესობა შახტიდან ამოყვანილია. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა ერთი და სერიოზულად დაშავდა 20 კაცი.

## გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

# ორი ერის ნება-სურვილით ნაკარნახევი

### საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის შრომებში, მოხსენებებსა და სიტყვებში არა ერთგზის შეხებია საქართველოს წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს და წამოუყენებია ჩვენი ისტორიკოსებისათვის ბევრი სახელმძღვანელო მნიშვნელობის დებულება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ისტორიული გამოსვლა 1981 წლის 23 მაისს თბილისში. ლ. ი. ბრეჟნევმა ამ გამოსვლაში ზუსტად განსაზღვრა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების თარიღი:

„შედარებით მალე აღვნიშნავთ, — თქვა რესპუბლიკის საპატიო სტუმარმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების მე-200 წლისთავს. სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინ".

ლ. ი. ბრეჟნევის ამ გამოსვლის შემდეგ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გარშემო თანდათანობით ყალიბდება აზრთა და შეხედულებათა ერთიანობა იმის შესახებ, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი იყო ორი სუვერენული ერის თავისუფლად გამოხატული და ნებასურვილით ნაკარნახევი საკავშირო-მფარველობითი ურთიერთობის იურიდიული დაკანონება, რომ აღნიშნულმა ტრაქტატმა პროგრესული როლი შეასრულა არა მარტო ქართველი ერის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ამ აქციით საქართველო ისევ დაუბრუნდა განვითარების ევროპულ გზას", რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს ფ. ენგელსის დებულების ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ რუსეთი ნამდვილად პროგრესულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიტომ ქართველმა ხალხმა გულწრფელად მოიწონა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. „თბილისელი ვაჭრები ქეიფობდნენ, — წერდა ერთ-ერთი თვითმხილველი, — უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ ქალაქის მოედანზე, სადაც დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. ბევრგან მუსიკის ჰანგები იფრქვეოდა, ერთი სიტყვით, ხალხს სურდა სიხარული გამოეხატა მის ბედში ასეთი სასურველი ცვლილებების გამო". (სსრკ სახ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 52, გვ. 44.). საგულისხმოა, რომ დიდ სიხარულს განიცდიდა რუსეთის სამეფო კარიც: „ქართული საქმეებისათვის, — წერდა ეკატერინე მეორე გრ. პოტიომკინს, — ერთხელ კიდევ გმადლობ. შენ ჩემი ნამდვილი გულითადი მეგობარი ხარ... (ამოდენა საქმეები ასეთ მოკლე ხანში!) ევროპის შურიანობას დამშვიდებით შევცქერი, რაც უნდათ, ის იყბედონ, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ" (Н. Дубровин, История войны... т. II, стр. 11).

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოში რუსთა ჯარის შემოსვლასაც დიდი ზარზეიმით შეხვედრია თბილისის საზოგადოებრიობა. „თბილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დახვედრად და მისალებად, — წერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადი ილია ჭავჭავაძე, — მეფე გიორგიც გაეგება თავის ამალით...

ასე შემოვიდა რუსის ჯარი თბილისში. ამ დიდი ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა" (თხზ., ტ. II, 1941, გვ. 497—498).

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა ძირითადად მართებულად არის გაშუქებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიულ მნიშვნელობად, სამართლიანად არის აღიარებული ის, რომ, ჯერ ერთი, იგი ორი დინასტიის პოლიტიკური კავშირის განმტკიცება კი არ იყო, არამედ ფაქტობრივად იყო ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცება (ე. შევარდნაძე); მეორე, ტრაქტატმა საფუძველი გამოაცალა ირანისა და თურქეთის პოზიციებს ამიერკავკასიაში (ო. მარკოვა); მესამე, დასაბამი მისცა თურქ და ირანელ მოძალადეთაგან მთელი კავკასიის განთავისუფლებას (ვ. მარტიროსიანი); მეოთხე, საქართველოსა და რუსეთს შორის სამოკავშირო-მფარველობითი ურთიერთობის დამყარება იყო ერთადერთი უკეთესი გამოსავალი ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული აღორძინებისათვის (ნ. ბერძენიშვილი); მეხუთე, ტრაქტატის წყალობით საქართველო ამიერიდან უფრო აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ურთიერთობის ორბიტაში (ლ. ალექსიძე), რის გამოც მის მიმართ განუკითხაობასა და დაპყრობის ცდებს წარმატება არ ეწერა. მოძალადენი, ხელსაყრელ შემთხვევაში, მხოლოდ თარეშობით კმაყოფილდებოდნენ; მეექვსე, ამ ტრაქტატით მოხდა საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან. ჩვენ, სწორედ ამ საკითხზე — საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებაზე — შევჩერდებით.

რუსეთთან საქართველოს **შეერთების** თარიღად, ერთი უზუსტო თარგმანის შედეგად დღემდე აღიარებული იყო 1801 წელი. ამ უზუსტობამ თავის მხრივ არაერთი გაუგებრობა და გართულება გამოიწვია ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 1801 წლის პოლიტიკური აქტი მიიჩნიეს **ნებაყოფლობითი** ხასიათის ღონისძიებად და ამასთან დაკავშირებით რომ მოიხსნა „ნაკლები ბოროტების" ფორმულა (მ. ნეჩკინა). სინამდვილეში „ნებაყოფლობითობა" და „ნაკლები ბოროტების" ფორმულა ისტორიულად მხოლოდ და მხოლოდ 1783 წლის აქტთან იყო დაკავშირებული. აქ, ერთის („ნებაყოფლობითობის") აღიარებაც გამართლებული ჩანს და მეორის — („ნაკლები ბოროტების" ფორმულის) მოხსნაც (ე. შევარდნაძე).

რუსული ფრაზა „присоединение Грузии к России", რომელიც ზუსტად გამოხატავს 1801 წლის პოლიტიკური აქტის არსს, ზუსტად არ გადმოქართულდა, რადგან რუსული სიტყვა „присоединение" და ქართული სიტყვა „შეერთება" გაგებულ იქნა იდენტურ ცნებებად, რაც აშკარა შეცდომაა (იხ. დ. ჩუბინოვის, ნ. ჩუბინაშვილის, გ. ახვლედიანის და სხვათა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები), ამიტომ თარგმანში მივიღეთ: „საქართველოს შეერთება რუსეთთან", რომელიც სრულიად ვერ გამოხატავს 1801 წლის პოლიტიკური აქტის არსს. ეს გარემოება ხშირად საბაბს იძლეოდა ისტორიკოსთა შორის მწვავე კამათისათვის.

ჩვენი აზრით, არავითარი გართულებანი და გაუთავებელი დავა არ იქნებოდა, რუსული „присоединение" რომ ზუსტად გადმოექართულებინათ, კერძოდ, რუსული წინსართი „при"-ს ისეთი შესატყვისი ქართული წინსართით, როგორიც არის „მი" და „შემო". ამ შემთხვევაში „присоединение Грузии к России" ქართულად იქნებოდა „საქართველოს მიერთება რუსეთთან" ან „საქართველოს შემოერთება რუსეთის მიერ". ეს არა მარტო ზუსტი თარგმანია (იხ. ა. ჩიქობავას, დ. დადიანისა და დ. უშაკოვის ქართული და რუსული ენების განმარტებითი ლექსიკონები), არამედ 1801 წლის პოლიტიკური აქტის ზუსტი ასახვაც არის.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა არა 1801 წელს, როგორც დღემდე ფიქრობდნენ, არამედ 1783 წელს. ამ მოსაზრებისათვის საფუძველს გვაძლევს:

ჯერ ერთი, თვით ქართული სიტყვა „შეერთება" შინაარსობრივად ზუსტად ემთხვევა რუსულ სიტყვას **„соединение"**-ს და არა **„присоединение"**-ს. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" ამომწურავად განმარტავს ქართული სიტყვის „შეერთების" შინაარსს: იქ, სიტყვა „შეერთების" ბუდეში ბარე ათიოდე სახელია „შეერთების" შესატყვისად აღნუსხული: „ერთმანეთთან დაკავშირება", „შეკავშირება", „შემჭიდროება", „გაერთიანება", „ურთიერთ კავშირის დამყარება", „დაახლოება", „შეთავსება", „შეთანხმება" და ა. შ. სულხან-საბა ორბელიანთან „შეერთება" არის ცალ-ცალკე (გაყოფილ) მოქმედებათა გაერთიანება, საერთო მოქმედებაში (საქმეში) თანამონაწილეობა („შეერთება გაყოფილ საქმეთა, საქმით შემოკრებით ზიარება").

რუსული „соединение" დ. ჩუბინოვის მიერ განმარტებულია როგორც „შეერთება", „გაერთიანება", „ერთობა" („რუსულ-ქართული ლექსიკონი", 1846, გვ. 1016); ნ. ჩუბინაშვილის მიერ კი როგორც „შეერთება" („ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი", 1840, გვ. 544). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1959 წელს გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, გ. წერეთლისა და სხვათა რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში", „соединение" განმარტებულია, როგორც „შეერთება", „გაერთიანება", „დაკავშირება" (ტ. III, გვ. 275). ასეა იგი განმარტებული ყველა სხვა ლექსიკონშიც.

ამრიგად, „შეერთება" და „соединение", ისე როგორც მათ შესატყვისად ზემოთ მოტანილი ცნებები, შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ იმ ურთიერთობის აღსანიშნავად, რომელიც დამყარდა რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით.

მეორე, ხელშეკრულების დამდები მხარეები **პროტექტორატში** ხედავდნენ არა მარტო **მფარველობით** ურთიერთობას არამედ ორი სახელმწიფოს შეკავშირების, **შეერთების** ფაქტსაც, რაც დასტურდება იმით, რომ „შეერთების" ცნების თითქმის ყველა შესატყვისი: „შეერთება", „ერთმანეთთან დაკავშირება", „შეთანხმება" და სხვ. გამოყენებულია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებულ ტექსტში იმ ურთიერთობის აღსანიშნავად, რომელიც მყარდებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის აღნიშნული ტრაქტატით. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს:

ა. მეოთხე არტიკულიდან: „დამტკიცებისათვის, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულობისა განსჯითა ესოდენ **მჭირსისა შეერთების ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა...**" («...намерения его светлости в рассуждении **толь тесного его соединения со всероссийскою империею...»**).

ბ. მეექვსე არტიკულიდან: იმპერატორი კისრულობს: „პირველად, ერთა მის სამეფოისათა შერაცხს ყოფად **მჭირსითა კავშირითა სრულებით თანახმად** იმპერიისა თანა თვისისა...". («Ея Императорское Величество... обещает... нороды тех царств почитать пребывающими **в тесном союзе и совершенном согласии с империею...»**).

გ. მერვე არტიკულიდან: „დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა **და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა**, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა... **(«для вящего соединения с Россиею сих единоверных народов»...)**

დ. მეთორმეტე არტიკული: „ზავი უკვე ესე, ანუ პირობა, იქმნების საუკუნოდ, მაგრა უკეთუ განხილულ იქნეს რაიმე საჭიროდ შეცვლილებად, ანუ დართულად ურთიერთისაჲვის სარგებლისა, აქვს მას ადგილი **ორთავე კერძოთა თანხმობისა**". («Сей договор делается вечныя времена; но ежели что-либо усмотрено будет нужным переменить или прибавить для взаимной пользы, оное да возымеет место по **обостороннему соглашению»**).

მესამე, ქართლ-კახეთის სამეფომ უარი თქვა რუსეთის სასარგებლოდ უზენაესი ხელისუფლების ზოგიერთ პრეროგატივაზე საგარეო-პოლიტიკურ სფეროში. ამიტომ მხოლოდ „შინაგანსა ხელმწიფებისა, — ნათქვამია ტრაქტატში,—მმართველობასთანა შეულევლილსა, მსჯავრსა, და სამართალსა, და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა, დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა..." (არტიკული მეექვსე). უფრო მეტიც, ერეკლე მეორე სცნობდა მოკავშირისათვის ქვეყნის ზოგიერთ შინაურ საქმეშიც ჩარევის უფლებას, როდესაც ტრაქტატში საეკლესიო გაერთიანების შესახებ სათანადო მუხლიც შეიტანა. ამ მუხლით იმპერატორმა საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელისათვის გაიმეტა მერვე ადგილი რუსეთის ეკლესიის წინამძღოლთა შორის და სინოდის წევრობა **„უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა"** და ა. შ.

მეოთხე, 1801 წლის აქტის მიმართ „რუსეთთან საქართველოს მიერთების" ან „რუსეთის მიერ საქართველოს შემოერთების" უპირატესობას, „შეერთებასთან" შედარებით მხარს უჭერს მეგრული და სვანური ენობრივი მონაცემებიც... (ა. კიზირია, გ. მარგიანი).

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ცხადჰყოფს, რომ 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა **სამოკავშირო-მფარველობითი ურთიერთობა**, მაგრამ რამდენადაც საქართველო ხელს იღებდა უზენაესი ხელისუფლების ზოგიერთ პრეროგატივაზე რუსეთის სასარგებლოდ, ამდენად მათ შორის ტრაქტატით დამყარებული ურთიერთობა ორივე მხარის მიერ გაგებული იყო როგორც **საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან** (Добровольное соединение Грузии с Россией). ამიტომაც იყო, რომ დ. ბაგრატიონი 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდა „რუსთა თანა", „შეერთებად". („მასალები", გვ. 29). ყოველივე აღნიშნულის გამო, საკმაო საფუძველი გვაქვს მხარი დავუჭიროთ საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების თარიღად არა 1801 წლის, არამედ 1783 წლის აღიარებას.

1801 წლის პოლიტიკური აქტი წარმოიშვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ორმხრივი ხელყოფის შედეგად. რუსეთისა და საქართველოს მმართველი წრეები, თუ მათი ცალკეული წარმომადგენლები, ხელმძღვანელობდნენ რა თავიანთი ვიწრო წოდებრივი თუ დინასტიური ინტერესებით, ხშირად ხელჰყოფდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. პროგრესული წრეები კი რუსი და ქართველი ხალხების კავშირისა და მეგობრობის (რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატით იყო რეგლამენტირებული) ერთგულნი რჩებოდნენ მაშინაც კი, როდესაც რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის მოწმენდილ ცაზე, მმართველი წრეების წყალობით, უნდობლობის ღრუბლები ჩამოწოლილა ხოლმე, როდესაც რუსეთის სამეფო კარზე ნაკლებად, ან თითქმის არ ზრუნავდნენ ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ეს გარემოება ხელს უწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოში ფეოდალური ქიშპისა და მტრობის გაღვივებას, გარეშე მტრების მოძალებას. ამან, როგორც ჩანს, აიძულა გიორგი XII უგულებელეყო გეორგიევსკის ტრაქტატი, როდესაც ფარულად 1799 წლის 7 სექტემბერს თავის ელჩებს მისცა რწმუნებულება რუსეთთან ახალი ხელშეკრულების დასადებად (მ. დუმბაძე). რწმუნებულების საბუთი ელჩებს ავალებდა:

„უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი... და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ". (А. Цагарели, Грамоты..., т. II вып. I, стр 187-188), ამის საფუძველზე პეტერბურგში შეადგინეს ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შედგებოდა 16 მუხლისაგან, იგი იმპერატორმა მოიწონა და გრაფმა როსტოპჩინმა ხელი მოაწერა 1800 წლის 23 ნოემბერს, მაგრამ მისი რატიფიკაცია არ მომხდარა...

ქართლ-კახეთის რუსეთის მიერ მიერთება გიორგი მეფის თხოვნით რომ მოხდა (იქვე, ტ. I, გვ. 177-178, 414), ამას მეფე გიორგიც არ უარყოფდა. იგი გენერალ ლაზარევისადმი 1800 წლის 7 დეკემბრის ბარათში წერდა, რომ „ეს ქვეყანა ყოვლად მოწყალის დიდებულის ხელმწიფისა არისო". (იქვე, გვ. 183). ამასვე ადასტურებენ ტახტის მემკვიდრე დავითი, იმერეთის მეფე სოლომონ II, ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი ექვთიმე და სხვანი.

დავითის მიერ ხალხისადმი მიმართვაში ნათქვამია, რომ გიორგი მეფემ „შერთოცა სამეფო თვისი იმპერიასა როსიისასა". (იქვე, გვ. 297), ხოლო გენერალ კნორინგისადმი 1801 წლის 25 იანვრის ბარათშიაც ადასტურებს, რომ მთელმა ქვეყანამ იცის გიორგიმ იმპერატორს რომ შესწირა საქართველო ქვეშევრდომად, რის გამოც ამიერიდან საქართველო ინოდებოდეს იქნება არა საქართველოდ, არამედ რუსეთადო (იქვე, გვ. 317).

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე იმპერატორისადმი მიწერილ ბარათში გმობდა ქართლ-კახეთის სამეფოს „დაფარვით განცემასა მეფისა გიორგისაგან" (იქვე, გვ. 177-178).

არქიმანდრიტ ექვთიმეს თავი მოჰქონდა საკუთარი დამსახურებით რუსეთთან საქართველოს მიერთებაში, იგი გენერალ კნორინგისადმი 1802 წლის 23 აპრილის ბარათში წერდა: „...საქართველოს ტყვეობის გამოხსნისათვის მეფე გიორგი ვაწუხე, დიდხანს დავუშვერ სამღთოს მადლითა საქართველო მისის დიდებულებისათვის მივართმევინე. ჭეშმარიტება მოწამეა, თუ არ ჩემი დიდი შრომით, ეს საქმე არ მოხდებოდა" (იქვე, გვ. 443), და ა. შ.

გიორგი XII-ის მიერ თავის ელჩებისადმი მიცემული რწმუნებულების საბუთი და მის საფუძველზე შედგენილი „სათხოვარი პუნქტები" საბაბი გახდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივი გაუქმებისა (მ. დუმბაძე) და რუსეთთან ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთთან შედარებით, **მშვიდობიანი მიერთებისათვის.** რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში „ჩარიცხვისა" თუ „მიღებისათვის", რაც საერთაშორისო სამართალში ინკორპორაციად იწოდება. ამიტომ იყო, რომ 1901 წელს ქართველმა პროგრესულმა საზოგადოებრიობამ, სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ბეჭდვითმა ორგანოებმა — ლენინურმა „ისკრამ" და „ბრძოლამ" დაგმეს თვითმპყრობელობის ერთგული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც დიდის ამბით ზეიმობდა საქართველოს რუსეთთან მიერთების ასი წლის თავს.

1801 წლის პოლიტიკური აქტის შედეგად საქართველოში დამყარებულ რეჟიმს მხოლოდ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო და ქართველმა ხალხმა აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრიობა. ამიტომ საქართველოს ისტორიული სვე-ბედის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული მოსაზრებანი ერთხელ კიდევ ნათელყოფს XIX საუკუნის საქართველოში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერ ხასიათსა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მნიშვნელობასაც.

საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთებიდან 200 წლის თავის იუბილესათვის მზადების პერიოდში, ბუნებრივია, რომ გაძლიერდა მეცნიერული კვლევა-ძიება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შემოქმედებითი შესწავლისათვის. ამ დიდ საქმეში შეტანილ წვლილად მივიჩნევთ ამ წერილსაც, თუ მისი ძირითადი დებულება შეწყნარებული იქნება საისტორიო მეცნიერებაში.

**ი. კაჭარავა,**
**პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

---

# ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 74 წლისა გარდაიცვალა სახელგანთქმული საბჭოთა მხედართმთავარი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა.

გარდაიცვალა ერთგული შვილი კომუნისტური პარტიისა, რომლის რიგებშიც იგი 1930 წლიდან იყო.

ვ. ნ. ჯანჯღავა დაიბადა 1907 წლის 1 ივნისს წულუკიძის რაიონის სოფელ პატარა გუბში, გლეხის ოჯახში. 1927 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი მოხალისედ შევიდა ამიერკავკასიის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ქვეითთა სკოლაში. 1931 წლიდან მთელი ცხოვრება სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მოახმარა მან სოციალისტური სამშობლოს უანგარო სამსახურს, მისი თავდაცვითი და ეკონომიკური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

1939 წელს კაპიტანი ჯანჯღავა ებრძვის თეთრფინელებს და ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ჯილდოვდება პირველი საბრძოლო ორდენით — წითელი დროშის ორდენით. 1940 წელს, ასრულებდა რა სამსახურებრივ და ინტერნაციონალურ მოვალეობას, მონაწილეობს წითელი არმიის განმათავისუფლებელ ლაშქრობაში ბესარაბიაში.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ვ. ნ. ჯანჯღავა, როგორც მე-16 სატანკო დივიზიის შტაბის განყოფილების უფროსი, შემდეგ კი მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიის ზურგის უფროსი, მონაწილეობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მოლდავეთში, უმანთან, დონბასში.

1942 წლის მარტში იგი ინიშნება ამ დივიზიის 676-ე მსროლელი პოლკის მეთაურად და იბრძვის ბრიანსკის ფრონტზე, მონაწილეობს ვორონეჟ-კასტორნოეს ოპერაციაში. მამაცი მებრძოლი ოფიცრის სახელი მოუხვეჭა მას მეთაურის არაჩვეულებრივმა ნიჭმა, იმის უნარმა, რომ შეეძლო პირადი მაგალითით აღეფრთოვანებინა ხელქვეითები. ერთი წლის შემდეგ ვ. ნ. ჯანჯღავას აწინაურებენ მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე, დივიზიისა, რომელმაც სახელი გაითქვა კურსკის რკალზე ბრძოლაში, ორიოლისა და კურსკის ოლქების, ბელორუსიის განთავისუფლების დროს.

1944 წლის ივნისში ჯანჯღავა ინიშნება 854-ე კალინკოვიჩის წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის მეთაურად, რომელიც მონაწილეობდა ბელორუსიისა და პოლონეთის განთავისუფლებაში, მან გაათავისუფლა 26 დიდი ქალაქი და 800-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. უმაღლესი მთავარსარდლის 18 ბრძანებაში აღნიშნულია 854-ე დივიზიის ვაჟკაცობა და მამაცობა. მისი მეთაური ვ. ნ. ჯანჯღავა აირჩიეს პოლონეთის ქალაქ შჩეცინის საპატიო მოქალაქედ.

ომის შემდეგ ვ. ნ. ჯანჯღავამ დაამთავრა კ. ე. ვოროშილოვის სახელობის უმაღლესი სამხედრო აკადემია და სარდლობდა ჯარის დიდ შენაერთებს. ხუთი წლის მანძილზე, 1954 წლიდან, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნ. ჯანჯღავა მეთაურობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

1968 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი იყო რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და მთელ ენერგიას, ცოდნას, მდიდარ მხედრულ გამოცდილებას ახმარდა თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციების განმტკიცების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დოსააფი ქვეყნის საუკეთესოთა რიგებში ჩადგა და ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ვ. ნ. ჯანჯღავას ვერ წარმოედგინა თავი თავისი ქვეყნის, თავისი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის გარეშე. იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად, სსრ კავშირის სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი. იგი იყო ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი და დამრიგებელი, რომელსაც მიუძღვნა წიგნები „განუზომელი ვერსები" და „ერთგულება".

სადაც უნდა გაეგზავნა ვ. ნ. ჯანჯღავა პარტიას, იგი მუდამ ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის და ყველა თანამდებობაზე იჩენდა განსაკუთრებულ ენერგიას, იძლეოდა შრომისმოყვარეობის, პარტიული პრინციპულობის, ადამიანებისადმი ზრუნვისა და ყურადღების მაგალითს, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ყველა იმათ შორის, ვინც კი მას იცნობდა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს ვ. ნ. ჯანჯღავას ღვაწლი. თვალსაჩინო მხედრული ოსტატობისა და პირადი გმირობისათვის ომის წლებში მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ორი ლენინის ორდენით, სამი წითელი დროშის ორდენით, II ხარისხის კუტუზოვის ორდენით, I ხარისხის სამამულო ომის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, პოლონეთის ორდენით „გრიუნვალდის ჯვარი", ბევრი საბრძოლო მედლით. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების, მშვიდობიან დროს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის ვ. ნ. ჯანჯღავა დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

ვლადიმერ ჯანჯღავას — მგზნებარე კომუნისტის, მამაცი ჯარისკაცის, სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ა. ა. ეკიშევი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ი. სავინკინი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჟითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ნ. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ვ. ი. პეტროვი, ი. ქ. ბაგრამიანი, გ. მ. ეგოროვი, ა. ს. ჟელტოვი, ა. ი. პოკრიშკინი, ნ. რ. საჯაია, ი. ო. ანდრიაძე, პ. ი. ბატოვი, ა. ლ. გეტმანი, ვ. კ. ზემლიანიკოვი, ნ. ტ. თავართქილაძე, დ. დ. ლელიუშენკო, ა. პ. მარესიევი, ვ. ფ. მარგელოვი, ვ. ვ. მოსიაიკინი, ა. ი. ოდინცოვი, ნ. ა. ქვანია, გ. ა. ფანცულაია, ლ. ლ. შარაშენიძე, ა. პ. შილინი, ა. ი. შირინკინი, დ. გ. შარუდნევი, ს. ი. ხარლამოვი.

---

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

პატივცემულო ამხანაგებო,
გთხოვთ მიიღოთ ჩვენი სამძიმარი საბჭოთა კავშირის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კომუნისტის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას გარდაცვალების გამო.

გთხოვთ ჩვენი სახელით გულწრფელად მიუსამძიმროთ მის ნათესავებსა და ახლობლებს.

საბჭოთა კავშირის გმირი, არმიის გენერალი იაშჩენკო, არმიის გენერალი მარგელოვი, საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ანტონოვი.

---

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

# სიტყვა მეგობარ თანამებრძოლზე

გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჯანჯღავას სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხელთ ეპყრა თავის გამარჯვების დროშა და, როგორც არმიის, ავიაციისა და ფლოტის მოხალისეთა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა საუკეთესო ხელმძღვანელმა ბოლომდე პირნათლად მოიხადა ძნელი ჯარისკაცული ვალი სამშობლოს წინაშე.

მე, პოლკის ახალგაზრდა მეთაური, კურსკის უსასტიკეს ბრძოლაში მეზობლად ვიყავი დისლოცირებული და აღტაცებით, უზომო სიამაყით ვადევნებდი თვალს, თუ როგორ იბრძოდა ჩემი თანამემამულე, პოლკოვნიკი ჯანჯღავა — სივაშის მე-15 მსროლელი დივიზიის მეთაური, რომელმაც თავის თავზე აიღო ჰიტლერელთა მძიმე სატანკო ნაწილების მთავარი დარტყმა და პირადი მაგალითით აჩვენებდა, თუ როგორ დადგომოდა საბჭოთა მეომარი სიკვდილს პირისპირ. ცხადია, კაცი, მაინც კაცია და ასეთი ცეცხლის ქარიშხლიდან თავის დაღწევა ყველას როდი შეეძლო, მაგრამ აქაც ვლადიმერ ნიკოლოზის ძის ტაქტიკა ისევე მარტივი იყო, ვითარცა თვით სიკვდილი. იგი თავისი მძლავრი სხეულით მხოლოდ წინა ხაზის სანგრებში იყო, ყველას თვალწინ, დივიზიის მეთაურის მიტოვება და უიმისოდ უკანა ხაზის სანგარში გადასვლა კი არავის შეეძლო.

ასე თანდათანობით, მტრის ქვეითი და სატანკო ძალების დაუძლურებით, იცავდა გმირი ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას. მასში შერწყმული იყო ფენომენალური უშიშროება და სიკვდილის ზიზღი. იგი, ტყვიას მკერდმიშვერილი, დარჩენილ ძალებს კონტრშეტევისათვის აღანთებდა, მზად იყო პირველს გაეწირა თავი და ყველა მისი რიგითი ჯარისკაციც ასევე მზად იყო თავგანწირვისათვის. იგი არ ფიქრობდა თავის სიცოცხლეზე, თავის თავზე და ყველაზე საბედისწერო წუთს ერთი აზრი, სამშობლოს ერთი ბრძანება უტრიალებდა თავში — „არც ერთი ნაბიჯი უკან". და დივიზიის მეთაურის ეს შინაგანი გრძნობა, აზრი ყველას გადაეცემოდა არა იმდენად ბრძანებით, რამდენადაც გულით, სულით, მაღალი შეგნებით, რომელიც სიკვდილზე ძლიერი იყო.

შემდეგ კიდევ გვქონდა ოთხი შეხვედრა ყველაზე ცხარე ბრძოლებში და იქ უკვე მთელ არმიაში ლეგენდად დადიოდა გენერლისა და საბჭოთა კავშირის გმირის ჯანჯღავას გმირობისა და სამხედრო ხელოვნების გონებამახვილური მაგალითების ამბავი, გენერლისა, რომლის დივიზიამ ბრძოლებით გაიარა ათას ხუთასი კილომეტრი და მონაწილეობდა 800-ზე მეტი დასახლებული პუნქტის, მათ შორის 26 ისეთი დიდი ქალაქის განთავისუფლებაში, სადაც უკვე ოპერატიული სტრატეგიული ამოცანები წყდებოდა და მაღალი ინტერნაციონალური მისია სრულდებოდა.

ბრძოლებში ყველაზე მეტად გამორჩეული მხედართმთავრები მათ შორის გენერალი ჯანჯღავა, გენერალური შტაბის აკადემიაში გაიგზავნენ, სადაც კიდევ უფრო ფართოდ გამოვლინდა მისი, ღრმა სამხედრო მოაზროვნის ოპერატიული და სტრატეგიული ნიჭი. აქ მე მოწმე ვიყავი იმისა, თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მოღვაწეობას სარდლები გ. ჟუკოვი, კ. როკოსოვსკი, პ. ბატოვი.

საბრძოლო პრაქტიკისა და თეორიის შერწყმამ, პასუხსაგები სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან ერთად, გენერალ-ლეიტენანტს საშუალება მისცა დაეწერა წიგნები სამხედრო თემაზე და აქაც იგი, მამაცი და უკეთილშობილესი, ნატიფი სულისა და ღირსეული ადამიანი ახალგაზრდობას მიმართავს: „კარგი ახალგაზრდობა გვყავს ჩვენ — გაბედული, ხემისყოფიანი, რომელსაც არავითარი სიძნელისა არ ეშინია. იგი თავისი საბჭოთა სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულია და პატივს მიაგებს იმ ადამიანთა ხსოვნას, რომელთა წინაშეც ვალში არიან დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისათვის".

ასეთი გახლდათ ეს ლეგენდარული პიროვნება, რომელშიც შერწყმული იყო თავისი ხალხის გმირობის ყველა საუკეთესო და მამაცური ნიშანთვისება.

სამარადისო დიდება ქართველი და მთელი საბჭოთა ხალხის საამაყო გმირს, მისი სახელი მარად უკვდავი იქნება ხალხის ხსოვნაში.

**ი. ჯორჯაძე,**
არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი.

---

### წიგნის თარო

# საქმის ცოდნით, სიყვარულით

კონიაკის წარმოება მეღვინეობის ერთ-ერთი ურთულესი დარგია. საქართველოში ამ დარგის პიონერად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი დ. ზ. სარაჯიშვილი ითვლება, ხოლო მისი საქმის ღირსეულ გამგრძელებლად — ვ. დ. ციციშვილი. თუ 1940 წელს რესპუბლიკაში გამოხადეთ სულ 20,4 ათასი დეკალიტრი კონიაკის სპირტი და გამოუშვეს 46,2 ათასი დეკალიტრი კონიაკი, 1980 წელს კი შესაბამისად 820 ათას დეკალიტრზე მეტი და 1730 ათას დეკალიტრზე მეტი. ქართულმა სამარკო კონიაკებმა მსოფლიო დეგუსტაციებსა და გამოფენებზე დიდი მოწონება დაიმსახურეს. მარტო უკანასკნელ 1955-1981 წლებში საერთაშორისო და საკავშირო კონკურსებზე და დეგუსტაციებზე ქართული კონიაკები 46 ოქროს და 13 ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

კონიაკის წარმოება რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის მნიშვნელოვანი და მაღალრენტაბელური ქვედარგია. მეათე ხუთწლედში მის წილად მოდიოდა საქართველოს მთელი ღვინის მრეწველობის საერთო პროდუქციის 18 პროცენტი, ხოლო მოგებისა და ბრუნვის გადასახადის თითქმის ერთი მეოთხედი. რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის ეს ორიგინალური ქვედარგი აქტიურად მონაწილეობს შრომის საერთო-საკავშირო და საერთაშორისო დანაწილებაში. ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებისა და საექსპორტო დაკვეთების დასაკმაყოფილებლად. საშუალოდ ყოველწლიურად რესპუბლიკიდან იგზავნება კონიაკის დაახლოებით 88 პროცენტი.

ისეთი მნიშვნელოვანი დარგის თაობაზე, როგორიც კონიაკის წარმოებაა, დღემდე არ მოგვეპოვებოდა არა მარტო მისი განვითარების ძირითადი ეკონომიკური პრობლემების კომპლექსური გამოკვლევები, არამედ ცალკე მის გარშემო თითქმის არ გამოქვეყნებულა შრომები ისეთ ძირითად ეკონომიკურ საკითხებზეც კი, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება, რენტაბელობა და ა. შ.

აქედან გასაგებია, თუ რამდენად აქტუალურია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ა. იაშვილის ნაშრომის — „კონიაკის წარმოების განვითარების ძირითადი ეკონომიკური პრობლემები საქართველოში" — მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, რომელიც ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა „საბჭოთა საქართველომ".

ნაშრომი დაწერილია მდიდარი საარქივო და ფაქტობრივი მასალების მეცნიერული გაანალიზების საფუძველზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისეთ კონკრეტულ ეკონომიკურ საკითხებზე, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება. პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელობა და მისი ამაღლების გზები, ფონდუკუგება და ა. შ. ავტორი სპეციალურად ეხება იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ახასიათებს დღეს რესპუბლიკის კონიაკის წარმოების სანედლეულო და ტექნიკურ ბაზას, და იძლევა საყურადღებო რეკომენდაციებსა და წინადადებებს მოცემული დარგის განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ნაშრომში მოცემულია ოცდასამი ავტორისეული დასკვნა და წინადადება, რომელთა პრაქტიკული განხორციელება უსათუოდ შეუწყობს ხელს პერსპექტივაში კონიაკის წარმოების შემდგომ განვითარებას. იგი დაწერილია დიდი პასუხისმგებლობით, საქმის სიყვარულით, საგნის ღრმა ცოდნით და გასაგები ენით.

ა. იაშვილის წიგნი კარგი საჩუქარია რესპუბლიკის ღვინის მრეწველობისა და უპირველესად კონიაკის წარმოების მუშაკებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის, ასევე ტექნოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებს.

**ა. სტეფანიშვილი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

---

# „პარტიული სიტყვა" № 7

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ანშლაგით „პირველადი — პარტიის საფუძველი" დაბეჭდილია წერილები: ჯ. კუხალაშვილის — მეტი მონდომება, პრინციპულობა; გ. ნოჭაშვილის — საქმის სული და გული.

რუბრიკით „ვემსახუროთ მატულ ნამუსიანად" გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — ახალი ალმასვლისათვის შემართული რესპუბლიკა.

განყოფილებაში „სსრკ-60. ძმები ვართ ერთმანეთისა" დაბეჭდილია — ჩვენი დიადი ოჯახი.

რუბრიკით „რეპლიკა" თქვენ გაეცნობით ბ. იაშვილის წერილს — ვითომ ბურთი მრგვალია?

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ინფორმაცია"; „გამოიყენე საუბრისას"; „შენი საუბრის თემა" და სხვ.




## გაზაფხულის სუნთქვით აღფრთოვანებული

**ჩვენს** რესპუბლიკაში გუშინ დაიწყო და 22 აპრილამდე გასტანს ტრადიციული მხატვრის კვირეული, რომელიც, ამჯერად, სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს ეძღვნება.

ფართოა წლევანდელი კვირეულის პროგრამა და მაინც მასში, ჩვენი აზრით, მთავარია საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელიც 16 აპრილს გაიმართება და განიხილავს ქართული კერამიკის და გობელენის განვითარების გზებს, საქართველოს მხატვართა X ყრილობისათვის მზადების საკითხებს.

კვირეულის პროგრამით გუშინ მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართველ მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა, მის გახსნამდე კი თბილისელმა სტუდენტებმა დაათვალიერეს ჩვენი სახვითი ხელოვნების დიდოსტატის ლადო გუდიაშვილის სახელოსნო.

დღეს ბავშვთა სურათების რესპუბლიკურ გალერეაში დაგეგმილია გახსნა გამოფენისა „სიმწიფის მიჯნაზე", დღესვე ქართველი მხატვრები შეხვდებიან თბილისის სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობას და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშებს.

ხვალ კი საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნება რესპუბლიკური გამოფენა „კერამიკა და გობელენი".

შაბათს, ლენინური შაბათობის დღეს, ქართველი მხატვრები ეწვევიან დედაქალაქის სხვადასხვა რაიონს, გააკეთებენ ჩანახატებს. შაბათ-კვირას სამხატვრო სალონებში მოეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

კვირეულის პროგრამაშია „ღია კარის" დღე მხატვართა სახელოსნოებში, სამხატვრო აკადემიაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, გამოჩენილი ქართველი მხატვრების მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, ი. გამრეკელის, ნ. კანდელაკის, დ. კაკაბაძის, ე. ახვლედიანის ნაწარმოებთა დათვალიერება მათ სახლ-მუზეუმებსა და სახელოსნოებში, თელავის, ზუგდიდის, გორის ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების საანგარიშო გამოფენა მხატვრის სახლში, ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის გახსნა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სამხატვრო გალერეაში და კიდევ მრავალი ღონისძიება, რომლებიც ჭეშმარიტად წარმოაჩენს ხელოვნების ამ დარგის განუხრელ ზრდასა და განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

მხატვრის კვირეული ჩვენი მხატვრების ერთგვარი ანგარიშიც იქნება მათი მომავალი X ყრილობის წინ. (**„კომუნისტის" კორ.**).

## პალიტრის ხასხასა ფერები

**სოხუმი,** 14 აპრილი. (საქინფორმის კორ.). ცისარტყელის ყველა ფერი ჩამოიტანეს აქ ქუთაისელმა მხატვრებმა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. ნამუშევრებმა დაამშვენეს სადღესასწაულო გამოფენა აფხაზეთის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. გამოფენა მიეძღვნა ქუთაისის დღეებს ავტონომიურ რესპუბლიკაში. იგი გახსნა სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. მიკანბამ. აღნიშნა რა შემოქმედებითი გაცვლის დიდი მნიშვნელობა, მან თქვა, თუ რა დიდი როლი ეკისრება სახვით ხელოვნებას სობჭოთა ადამიანების იდეურ და ზნეობრივ აღზრდაში.

— ქუთაისის ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატების ნამუშევრებთან წლევანდელი შეხვედრა, — თქვა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ს. გაბელიამ, ძველი ტრადიციული კავშირის გაგრძელებაა კოლეგებთან, რომლებიც ყოველთვის გულთბილად გვიღებდნენ.

საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა დ. ფაჩუაშვილმა ილაპარაკა, თუ რა ნაყოფიერია ქუთაისისა და აფხაზეთის სახვითი ხელოვნების ოსტატებს შორის გამოფენების გაცვლა.

— აფხაზეთში ჩვენი ნამუშევრების მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამოვიტანეთ, — თქვა მან. — მაგრამ თან ჩამოგვყვა უფრო მეტი რამ. სიყვარული და პატივისცემა ნიჭიერი აფხაზი ხალხისადმი, რომელთან მეგობრობასაც საუკუნეების სიღრმეში მივყევართ.

ქუთაისის მხატვართა ნამუშევრების გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. სელეზნიოვი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გოდუაძე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ა. ზარათაშვილი.

# იღვწოდა რწმენით და თავდადებით

**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ბ. ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე წლისთავის გამო**

[illegible] სიათს და ეს იყო საძირკველი, რომელსაც მისი სახელი და ავტორიტეტი, მისი წარმატებები ეფუძნებოდა თვით სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბ. ლორთქიფანიძე ერთხანს სარატოვსა და სტალინგრადში მუშაობდა ინჟინრად, ხოლო შემდეგ თბილისში, რკინიგზების ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შექმნისა და მასთან ენერგეტიკის სექტორის ჩამოყალიბების დღიდან მან ამ სექტორში დაიწყო მუშაობა და მაშინვე მიიპყრო ყურადღება როგორც უაღრესად ნიჭიერმა და პერსპექტიულმა მეცნიერმა მუშაკმა.

1941 წელს ბ. ლორთქიფანიძე მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში და დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე მამაცურად იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მან მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის დაცვაში, ჰიტლერელთა ურდოებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთისა და ავსტრიის განთავისუფლებაში.

ბ. ლორთქიფანიძის საბრძოლო დამსახურებანი აღინიშნა „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", „ბუდაპეშტის აღებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბ. ლორთქიფანიძემ განაგრძო ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში. აქ მან დიდი წვლილი შეიტანა ელექტრული დანადგარების ზემოქმედების შედეგად ნიადაგში აღძრული ეგრეთ წოდებული მოხეტიალე ელექტრული დენების თეორიის შექმნაში და დაამუშავა მოხეტიალე დენების ზემოქმედებით გამოწვეული ელექტრული კოროზიისაგან მიწისქვეშა ლითონის ნაგებობების დაცვის ძირითადი საკითხები. ამ პრობლემატიკას მიეძღვნა მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ბ. ლორთქიფანიძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ელექტროტექნიკის განყოფილებას, რომელსაც მანამდე მისი მასწავლებელი, ღვაწლმოსილი ქართველი ენერგეტიკოსი ალექსანდრე მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. 1962 წელს გამოქვეყნდა ბ. ლორთქიფანიძის ვრცელი მონოგრაფია: „მუდმივი დენის წრედები დენის გაპარვით და კოროზიისაგან ელექტრული დაცვა". მონოგრაფიაში გაშუქებულია ბ. ლორთქიფანიძის გადინებიანი წრედების თეორია, ჩამოყალიბებულია მიწისქვეშა ლითონის ნაგებობების კოროზიისაგან დაცვის პრინციპები და შესაბამის დამცველ მოწყობილობათა საინჟინრო გაანგარიშების მეთოდები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ. ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გადინებიანი წრედების ორიგინალური სქემა, რომელსაც არსებითი უპირატესობა აღმოაჩნდა ფრანგი მეცნიერის, პროფესორ ჟიბრას კლასიკურ სქემასთან შედარებით.

ბ. ლორთქიფანიძის მეცნიერულმა მიღწევებმა აღიარება პოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში. ცნობილი მეცნიერის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ს. მიხაილოვის აზრით, ბ. ლორთქიფანიძის მიერ მიღებულმა შედეგებმა საბჭოთა მეცნიერებს წამყვანი ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიოში ელექტროკოროზიასთან ბრძოლის მეთოდების შემუშავების დარგში.

წმინდა მეცნიერული ხასიათის საკითხების შესწავლასთან ერთად ბ. ლორთქიფანიძე პირადად ხელმძღვანელობდა მიწისქვეშა ნაგებობების ელექტრული კოროზიისაგან დაცვის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. მისი თაოსნობით განხორციელდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის, თბილისის საკაბელო ქსელებისა და მიწისქვეშა მილსადენების, ქუთაისის ავტოქარხნის საკაბელო ქსელების, ამიერკავკასიის რკინიგზის გვირაბებში ლიანდაგებისა და სხვა მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტროკოროზიისაგან დაცვის სისტემების გაანგარიშება, დაპროექტება და რეგულირება. მეცნიერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოხეტიალე დენებისაგან ლითონის ნაგებობათა დაცვასთან დაკავშირებული რთული საკითხების მოგვარებაშიც ამიერკავკასიის რკინიგზებისა და ლენინგრად-მოსკოვ-ლენინაკანის რკინიგზის მაგისტრალის ელექტრიფიკაციის დროს. ამ სამუშაოთა შესრულებამ ქვეყანას ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მისცა.

ცნობილია, რომ საკაბელო ქსელების, აირსადენების, წყალსადენების, თბოსადენების, ისევე, როგორც ელექტრიფიცირებული რკინიგზების მასშტაბი განუწყვეტლივ ფართოვდება. ამასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდება ბ. ლორთქიფანიძის მიერ დამუშავებული პრობლემების პრაქტიკული მნიშვნელობა. ამჟამად თბილისში შექმნილია ლითონის მიწისქვეშა ნაგებობების კოროზიისაგან დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობას ნაგებობათა ელექტროკოროზიისაგან დაცვის დარგში ძირითადად ბ. ლორთქიფანიძის მიერ მიღებულ მეცნიერულ შედეგებზე დაყრდნობით წარმართავს.

ბ. ლორთქიფანიძე დიდ სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობას ეწეოდა. იგი თავმჯდომარეობდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ ლითონის კოროზიასთან ბრძოლის საკითხზე მომუშავე კომისიას, ანალოგიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული შესაბამისი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ვ. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრაზე. აქ იგი, მართლაც რომ, განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ენერგეტიკოსთა ახალგაზრდა კადრების აღზრდას. ამიტომაც მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები და კოლეგები უღრმესი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებენ ამ კეთილშობილი ადამიანისა და სასახელო ქართველი საბჭოთა მეცნიერის სახელს.

**ვ. გომელაური,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

### მიწისქვეშა საუნჯეები





# კვლავ ძიება



**სულ** ცოტა ხანიც და საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შეუდგებიან საძიებო სამუშაოებს. დაგეგმილია ათი არქეოლოგიური ექსპედიცია: ყვირილის აუზის (იმერეთი), ბეროკლდების, დედოფლის მინდვრის (შიდა ქართლი), სოფელ სიონის, კაზრეთის (ქვემო ქართლი), მარტყოფის, არეშის (კახეთი), ნოსირ-მუხურჩის, ნოქალაქევისა და ვანის ქვაბის გათხრები. წინა წლებში ამ ადგილებიდან ხომ დიდძალი და მნიშვნელოვანი მასალები იქნა მოპოვებული.

ზოგჯერ ხდება, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების თუ რაიმე ნაგებობის მშენებლობის დროს ადამიანები პოულობენ არქეოლოგიურ ნივთებს. აუცილებელია, რომ მპოვნელმა ეს ნივთი მაშინვე წარუდგინოს უახლოეს არქეოლოგიურ ჯგუფს ან მუზეუმს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არაერთხელ მოსულან მოქალაქეები და უცნობებიათ ნივთების ზუსტი ადგილმდებარეობა. ასეთები არიან გ. ჯავახიშვილი (სოფელი ბაკურციხე), ა. ხარიტონაშვილი (სოფელი ვეჯინი), ვ. ბურჭულაძე (ქ. მახარაძე), ქ. მინდაშვილი (სოფელი კუმისი), თბილისელები თ. სამხარაძე, ბ. მჭედლიშვილი, ვ. გელეიშვილი, გ. ვახტანგიშვილი, ქ. კახიანი და სხვები, მათ არაერთი არქეოლოგიური ნივთი იპოვეს და ჩააბარეს მუზეუმს. მაგრამ ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება, ზოგიერთი ცნობისმოყვარე ჩიჩქნის მიწას, თუ იპოვის რამეს, არ გამოაჩენს, ეს კი მიუტევებელი შეცდომაა, რომლის გამოსწორება აღარ შეიძლება. აი, რას წერდნენ ამის თაობაზე ცნობილი ამერიკელი არქეოლოგები მერი ელტინგი და ფრანკლინ ფოლსომი: „რაც უნდა ფრთხილი იყოს გამოუცდელი კაცი, ის უსათუოდ მოსპობს ან გააფუჭებს რაიმე მნიშვნელოვან კვალს. რომელიმე შუბის პირის ზუსტმა ადგილმდებარეობამ შეიძლება სრულიად ახალი ფურცელი გადაშალოს კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო თუ ეს ნივთი სულ ოდნავ გადაადგილდა, ეს ფურცელი შეიძლება სამუდამოდ წაიშალოს".

ვინ იცის, ალბათ, რამდენი ნივთი გადაადგილდა და რამდენი ფურცელი წაიშალა! ვფიქრობ, გაზეთ „კომუნისტს" აღარ დასჭირდება ასეთი ფაქტების დასახელება, რადგან ყველა დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ხელი შეუწყოს თავისი ქვეყნის წარსული ისტორიისა და კულტურის ახალ-ახალი ფურცლების გამოვლენას.

ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებს, არქეოლოგიურ ექსპედიციებს ახალ-ახალი აღმოჩენები და წარმატებები. მათი მონაპოვარი ხომ ძირითადად თავს მოიყრის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელსაც სულ მალე, [illegible] არსებობის 130-წლის თავი უსრულდება.

**ს. ნუცუბიძე.**

**სურათებზე:** აქვე გთავაზობთ მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ნივთებს — (ზემოთ) სარდიონის, გიშრისა და ქარვის მძივები; ბრინჯაოს მხედარი; (ქვემოთ) ბრინჯაოს კოლხური ცული (ძვ. წ. VIII-VII სს).

# იშვიათი კოლექცია

**გორი.** (საქ. კორ.). ამ რამდენიმე წლის წინათ თადარიგის პოდპოლკოვნიკმა ირაკლი ყანდარელმა გადაწყვიტა შეექმნა საბჭოთა კოსმოსური ხანის ამსახველი ალბომი.

მის თხოვნას კოსმონავტები სიამოვნებით გამოეხმაურნენ. პირველი წერილი ავტოგრაფით ი. ყანდარელმა ი. გაგარინისაგან მიიღო. მას მოჰყვა პ. პოპოვიჩის, ა. ნიკოლაევის, გ. ტიტოვის წერილები.

ი. ყანდარელის მეგობრობა კოსმონავტებთან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა. პირველ ჰაერნაოსნობათა შესახებ კოსმონავტებისათვის გაგზავნილი საყურადღებო მასალის გამო გ. ტიტოვი მას სწერს: „პატივცემულო ირაკლი! გულითად მადლობას გიძღვნით ავიაციის შესახებ ამ ისტორიული მასალისათვის", „ირაკლი ყანდარელს — მეგობრული სურვილით" — ქ. ფეოქტისტოვი თავისივე ფოტოსურათით ულოცავს კოსმონავტიკის დღეს სამამულო ომის ვეტერანს.

გავიდა წლები და ი. ყანდარელის ალბომი ყველა საბჭოთა კოსმონავტის ფოტოსურათებით და წერილებით შეივსო. ამ დღეებში ვეტერანის „კოსმოსურ კოლექციას" კიდევ ერთი ძვირფასი ექსპონატი შეემატა. კოსმონავტებმა ი. ყანდარელს საჩუქრად გამოუგზავნეს წიგნი „მივფრინავთ კოსმოსში", რომლის ფურცლებსაც მრავალი საბჭოთა კოსმონავტის ავტოგრაფი ამშვენებს.

ი. ყანდარელის კოლექციაში ნახავთ გრამფირფიტას, რომელზეც ჩაწერილია კ. ციოლკოვსკის გამოსვლა 1935 წლის 1 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ პარადზე, შეგიძლიათ მოუსმინოთ ი. გაგარინის ხმას კოსმოსში გაფრენის წინ, ს. კოროლიოვის გამონათქვამებს კოსმოსის ათვისების თაობაზე...

— კოსმონავტებთან მეგობრობა, — ამბობს კულტურის დამსახურებული მუშაკი, თადარიგის გვარდიის პოდპოლკოვნიკი ი. ყანდარელი, — დიდად მეხმარება ახალგაზრდებთან ჩემს ყოველდღიურ მუშაობაში. აღზარდო ახალგაზრდობა გმირობის და სიმამაცის გრძნობით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ყველა ჩვენგანისათვის დიდი პატივიც არის და უწმინდესი მოვალეობაც.

## სახალხო თეატრის სცენაზე

**ონის** სახალხო თეატრში მაყურებელმა ნახა მორიგი პრემიერა — ა. ჩხაიძის პიესა „მიწის ყივილი". სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ჯაფარიძემ. მთავარ როლებს ასრულებენ ა. ციხისელი, ნ. დუშუაშვილი, ლ. ბურდილაძე, ვ. ბერუჩევი, ნ. კასრაძე.

**ე. ბურდილაძე.**

### ქუჩა-ქალაქის სავიზიტო ბარათი

# აღვადგინოთ მძღოლ-ფრიადოსანთა ინსტიტუტი

**ავტომობილმა,** რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, შეცვალა წარმოდგენა სიჩქარეზე, მანძილსა თუ წონაზე... ავტომობილიზაციამ უამრავი პრობლემა წარმოშვა, მათ შორის ზნეობრივი ხასიათისაც.

დასავლელი ფსიქოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზოგიერთის წარმოდგენაში ის, რაც წინათ აუცილებელი იყო მამაკაცისათვის — ვაჟკაცობა, კეთილშობილება, თავდაჭერილობა, თავაზიანობა, დღეს თურმე სავსებით შეიძლება შეიცვალოს ავტომობილის სიჩქარით, სიმძლავრით და აღვირახსნილი ჟღენით ქუჩებში. ეს, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენებურ მძღოლსაც ეხება.

ჩვენს ქუჩებში მოძრაობის კულტურა იმდენად დაბალია, რომ უცხო კაცს უჭირს იმის წარმოდგენა, რომ აქ უდიდესი კულტურის შემქმნელი წინაპრების შთამომავლები ცხოვრობენ, რომ ამ ქუჩებში ცოტა როდი დადის ისეთი, რომელთა ცოდნას, ოსტატობას თუ ხელოვნებას ქედს უხრიან მსოფლიოს მრავალ კუთხეში.

ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვა ბევრს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ავტოინსპექციის მოვალეობად მიაჩნია, თავად კი უფლება დაიტოვა, თუკი ახლომახლო წესრიგის დამცველი არ ჩანს, არაფრად ჩააგდოს სხვისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ორიოდ წუთი მოიგოს. ამ თავხედობაზე მარტო ქუჩებში და გზებზე დალუპულ-დასახიჩრებულების შემზარავი სტატისტიკა როდი მეტყველებს. ამ ციფრებს მიღმა ათასობით მშრომელის გაფუჭებული გუნება-განწყობილება, ათასობით მოზარდის შეგნებაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისადმი შემგუებლობის გრძნობა იმალება. გვავიწყდება, რომ საზოგადოებაში მიღებული წესების დარღვევა უზნეობაა.

ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევით ზოგი თავსაც კი იწონებს, ვითომ რაღაც პრივილეგიურ კასტას ეკუთვნოდეს, რომელსაც უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე იაროს, ან შუაღამისას მისთვის „მელოდიური" ჰანგებით გააღვიძოს მთელი უბანი.

არადა, ამ დროს, როგორ გვიყვარს ჩვენს კულტურაზე, ჩვენს მიღწევებსა და სილამაზეზე ლაპარაკი! ან რა აღტაცებით ვლაპარაკობთ ხოლმე იმაზე, თუ რა სიმშვიდით ელოდება ევროპულ ქალაქებში შუაღამისას უკაცრიელ ქუჩაში მძღოლი თუ ქვეითი მწვანე შუქნიშანს, ანდა იმაზე, რომ საერთოდ ვერ ვნახავთ იქ ვერც ერთ წესრიგის დამრღვევს ქუჩაში.

ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვა ჩვენი ღირსების საქმეც არის. პრობლემა ადვილი გადასაწყვეტია, თუკი მოძრაობის წესების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დარჩება შეუნიშნავი და განუკითხავი. ცხადია, აქ მარტო ავტოინსპექცია უძლურია.

ამ საქმეში, უპირველესად, თავისი სიტყვა უნდა თქვან მოწინავე, ავტორიტეტიანმა მძღოლებმა, რომელთა თვალწინ ასჯერ უფრო მეტი დარღვევა ხდება, ვიდრე ამას ავტოინსპექცია აღნუსხავს. ვფიქრობ, საჭიროა აღდგეს 10-15 წლის წინათ არსებული მძღოლ-ფრიადოსნების ინსტიტუტი. მძღოლები, რომლებიც არა მარტო მაგალითს უჩვენებენ სხვებს, არამედ აღრიცხავენ კიდეც დარღვევის ფაქტებს, საზოგადოებრივი ავტოინსპექციის მეშვეობით აცნობებენ საწარმოებს თუ ავტომოყვარულთა საზოგადოებას დარღვევის ყოველ შემთხვევას რეაგირებისათვის.

მოძრაობის წესების დარღვევის ყოველი ფაქტი საზოგადოებრივი გაკიცხვის საგანი უნდა გახდეს, ვინაიდან ის ჩრდილს აყენებს მთელი ხალხის წარმატებებს სამეურნეო საქმიანობაში, კულტურულ აღმასვლას თუ მართლწესრიგის განმტკიცებას.

მძღოლების დასჯის წესებიც, ჩვენი აზრით, მოძველებულია. პროფესიონალი მძღოლების უფლებების ჩამორთმევა რამდენიმე თვით, თუკი წესების დარღვევას რაიმე სერიოზული შედეგი არ მოჰყვა, ვფიქრობთ, ზოგ შემთხვევაში გაუმართლებელია. მძღოლობის უფლებააყრილი პირი ამ პერიოდში ნაკლებად მუშაობს ნაყოფიერად, ან საერთოდ ამოვარდნილია ჩვეული შრომითი რიტმიდან და მხოლოდ გზებსა და

### პრობლემა

საშუალებებს ეძებს, რომ მანქანის მართვის უფლება დაიბრუნოს. ეს დრო მძღოლის პროფესიული დაოსტატების თვალსაზრისითაც დაკარგულია. ავტომეურნეობაც კარგავს სპეციალისტს, იზრდება დენადობა.

ალბათ, უმჯობესი იქნება, ზოგიერთ შემთხვევაში მძღოლი ისე დაისაჯოს, რომ არც მეორედ მოუნდეს წესების დარღვევა, არც კოლექტივსა და საქმიანობას მოსწყდეს დიდი ხნით და თან პროფესიული ოსტატობაც აიმაღლოს. ამის მიღწევა კი ადვილად შეიძლება. ზოგიერთი დამრღვევისათვის დამნაშავე მძღოლი რამდენიმე ხნით უნდა გაიგზავნოს სპეციალურ ავტოდრომზე სავარჯიშოდ და ლექციების მოსასმენად, რომლის ხარჯებსაც თვითონ გაიღებს. ასეთი ავტოდრომი სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს და მატერიალურად და მორალურადაც მომგებიანი იქნება. ამრიგად, დამნაშავე დაისჯება, თან კვალიფიკაციასაც აიმაღლებს, ავტომეურნეობაში კი შემცირდება დენადობა.

ქუჩები ქალაქების სავიზიტო ბარათებია. ამიტომ უფრო თამამად უნდა ვეძიოთ ახალი გზები და ეფექტიანი მეთოდები წესრიგის განსამტკიცებლად, რათა სტუმარმაც და მასპინძელმაც იგრძნოს ჩვენში დამკვიდრებული მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულება.

**გ. გელენიძე,**
**თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი.**

## საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

**25 აპრილს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს**

### ღია კარის დღეს



ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. 77, მთავარი კორპუსი) 12 საათზე მოეწყობა რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა მოსწავლეებთან.

გასული წლების მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები მათ ესაუბრებიან მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

შეხვედრის შემდეგ დეკანატები, კათედრათა გამგეები და პროფესორ-მასწავლებლები საშუალო სკოლის მოსწავლეებს დაათვალიერებინებენ ფაკულტეტების კაბინეტ-ლაბორატორიებს, განუმარტავენ სპეციალობათა არსს, რჩევა-დარიგებას მისცემენ მომავალი პროფესიის არჩევაში.

## თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

**25 აპრილს 12 საათზე ინსტიტუტის III კორპუსის სააქტო დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 31) აბიტურიენტებისა და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს**

### ღია კარის დღეს



ინსტიტუტში მოსულ აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე მათ პასუხს გასცემენ რექტორატის, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების, აგრეთვე გაერთიანებული პროფკომიტეტის წარმომადგენლები. გაიმართება საუბარი ფაკულტეტების სტრუქტურის, მედიცინის მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

**მიმღები კომისია.**

## საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1982 წლისათვის ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში**



**წარმოებას მოწყვეტით:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება — 1 ადგილი; სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა, მართვის ორგანიზაცია და დაგეგმვა — 1 ადგილი; ვეტერინარული მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, ეპიზოოტოლოგია და მიკოლოგია — 1 ადგილი.

**წარმოებას მოუწყვეტლივ:** კერძო ზოოტექნიკა (მეფრინველეობა) — 1 ადგილი.

**ასპირანტურაში წარმოებას მოწყვეტით მიიღებიან** 35 წლამდე ასაკის, **წარმოებას მოუწყვეტლივ** — 45 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებმაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი გამოიჩინეს და არჩეულ სპეციალობაში აქვთ სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი (ნოტარიულად შემოწმებული) და დანართი; დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან; ავტობიოგრაფია; კადრების აღრიცხვის ფურცელი; 3 ფოტოსურათი (4X6); გამოქვეყნებული შრომების სია; წარმოების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286); იმ პირებმა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარეს გამოცდები საკანდიდატო მინიმუმის მოცულობით, უნდა წარმოადგინონ მოწმობა ჩაბარებული საგნების შესახებ.

**ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.**

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

**მისამართი: 380107 თბილისი-კრწანისი,** ავტობუსი № 23.




## ლიდერთა შორის

**უზბეკეთის** ქალაქ ჩირჩიკში დამთავრდა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპი. აქ ბოლო შეხვედრა საქართველოს გუნდებს — თბილისის „ლოკომოტივსა" და ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივს ერთმანეთთან მოუწიათ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ორიოდე დღით ადრე კი გათამაშების საწყისი ეტაპი დამთავრდა ფერგანაში. 2-12 ივნისს პირველი წრის დასკვნით მატჩებს ჩემპიონატის მონაწილე თორმეტივე გუნდი მოსკოვში გამართავს. თბილისელმა რკინიგზელებმა 12 ქულა დააგროვეს და ლიდერთა შორის არიან.

ახლა კი გადავხედოთ ყველა გუნდის სატურნირო მდგომარეობას: მოსკოვის „სლავა" — 15 ქულა, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 13, თბილისის „ლოკომოტივი" — 12, მოსკოვის „ლოკომოტივი", კიევის „ავიატორი" და მოსკოვის „ფილი" — 11-11, ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივი — 10, ლენინგრადის „პრიმორეცი" და ალმაათის ასკ — 9-9, კიევის „პოლიტეხნიკი" და კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 7-7, ლვოვის „სოკოლი" — 5 ქულა.

## ხელბურთელთა საკავშირო...

**კალინინგრადში** გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპი. თბილისის „ქართული" შეჯიბრების მეოთხე დღეს შეხვდა ცსკას. გაიმარჯვეს არმიელებმა — 40:31 (22:15). ამ დღის მატჩებიდან აღსანიშნავია ის, რომ ჩემპიონატის ლიდერმა — მინსკის არმიელთა კოლექტივმა დათმო პოზიციები: იგი დამარცხდა მოსკოვის „კუნცევოსთან" გამართულ მატჩში — 24:29.

მეორე წრის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გათამაშების ლიდერი გახდა ცსკა — 31 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: მინსკის ასკ — 30, მოსკოვის „კუნცევო" — 27, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 23, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 21, რიგის „ცელტნიექსი" და ჩელიაბინსკის „პოლიოტი" — 19-19, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 18, კიევის ასკ — 17, თბილისის „ქართული" — 16, კაუნასის „გრანიტასი" — 13, ქალაქ ტირასპოლის გუნდი — 6 ქულა.

## ფეხბურთის ამბები

### უეფას სანქციები

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციების კავშირმა (უეფა) განიხილა პორტუგალიის გუნდის „პორტოს" პროტესტი ბელგიის „სტანდარტთან" თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩის თაობაზე და უარყო იგი. პირიქით, უეფამ გადაწყვიტა დასაჯოს ეს გუნდი ლიეჟში გამართული მატჩის დროს მის ქომაგთა ხულიგნური საქციელის გამო. მომავალი მატჩი (ნებისმიერი ტურნირი უეფას ეგიდით) პორტუგალიაში ქალაქ პორტოდან 250 კილომეტრით დაშორებულ ადგილას გაიმართება. უეფამ „პორტო" უკვე მესამედ დასაჯა მისი გულშემატკივრების მიერ მოწყობილ უწესრიგობათა გამო.

გარდა ამისა, უეფას დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებით, „ლივერპულის" ფეხბურთელი მარკ ლოურენსი ევროპის ტურნირებში სამი თამაშით არის დისკვალიფიცირებული. მიზეზი ის გახლავთ, რომ მან ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესთან" მატჩისას ბულგარელ სპორტსმენს გაარტყა.

### ცალ-ცალკე ისხდებიან

**ფეხბურთელთა** მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ქალაქ ბილბაოს ადგილობრივი ფილიალის მდივანმა ხავიერ აპარისიომ განაცხადა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების მატჩის დროს (ეს შეხვედრა ბილბაოში 16 ივნისს გაიმართება) ამ ქვეყნების ფეხბურთელთა ქომაგები ერთმანეთისგან განცალკევებულ ტრიბუნებზე იქნებიან განაწილებული. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ, რომელსაც ახსოვს „თავისი გულშემატკივრების" ხულიგნური გამოხდომები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დროს.

### 19 მაისს დაიწყება...

**ფეხბურთელთა** მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ესპანეთში 19 მაისს დაიწყება. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა. ბილეთების საშუალო ფასი იქნება 100-დან (მოსწავლეთათვის) 3800-მდე პესეტი (მოზრდილთათვის). 100 პესეტი ჩვენებური 69 კაპიკის ტოლფასია.

## ტელევიზია

**15 აპრილი**

### მოსკოვი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია", 9.45 — „გამოგვეხმაურეთ, მებუკეებო!", 10.15 — ქ. ერევნის ახალგაზრდული გუნდის „აირენის" კონცერტი, 10.45 — მხატვრული ტელეფილმი „ოფლითა შენითა". მეორე სერია, 12.00 — საწარმოო ტანვარჯიში, 12.30, 15.30 — ახალი ამბები, 15.45 — „საბჭოური ცხოვრების წესი". კინოპროგრამა, 16.35 — ტელესტუდია „ორლიონოკის" საკონცერტო დარბაზი, 17.30 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. „პროფესიული ორიენტაციის პრობლემები", 18.00 — მსოფლიოს ჩემპიონატი პოკეიში. სსრ კავშირის ნაკრები — იტალიის ნაკრები. დამთავრების შემდეგ — დღეს მსოფლიოში, 20.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. არგენტინის ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები, 22.00 — „ვრემია", 22.35 — „ჩარლი ჩაპლინი". ცხოვრების ფურცლები, 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამით: 9.00 — ახალი ამბები, 9.20 — „აღორძინებულ მიწებზე". სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 9.35, 13.10 — დედის სკოლა, 10.05, 12.05 — ესპანური ენა, 10.35, 11.45 — ბუნებისმეტყველება. მე-4 კლასი, 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რესტავრატორები", 11.05 — ზოგადი ბიოლოგია, 11.30 — კინოჟურნალი „მშენებლობა და არქიტექტურა" № 1, № 2, 12.40, 13.40 — ფიზიკა, მე-9 კლასი, 14.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 14.20 — გეოგრაფია, სამხრეთი ევროპა. აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულები, 14.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდაათი ორმოცდაათზე", 16.20, 19.00 — ახალი ამბები, 19.20 — „ერთხელ კიდევ პურზე". დოკუმენტური ფილმი, 19.30 — გამარჯვებულები. მე-13 არმიის ვეტერანთა შეხვედრა, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ჩვენ ვაშენებთ ბამს, 21.45 — „იქ, ცოცხალი უჯრედის სიღრმეებში". სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 22.00 — „ვრემია", 22.35 — რ. შუმანის ვოკალური ციკლი „ქალის სიყვარული და ცხოვრება", 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი პოკეიში. შვეციის ნაკრები — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები.

**15 აპრილი**

### თბილისი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ექიმი მიდის ფეხბურთზე", 10.00 — „მოამბე", 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე", 11.35 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი" — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". მესამე სერია, 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი, 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 18.00 — განცხადებები, 18.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი-კონცერტი „მღერის „მართვე", 18.35 — მოსწავლეთათვის — „მზის იალქანი", 19.15 — „ეკრანული საზეები". ლ. ახეჯაკოვა, 20.00 — „მოამბე", 20.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (გადაცემა არგენტინიდან), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი" — ქართული მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". მეოთხე სერია, 23.45 — საშინაო მიმოხილვა.

მეორე პროგრამით: 16.40 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა თეთრი კოშკებისაკენ", 17.45 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა, 18.30 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა", 19.15 — განცხადებები.

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08209 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.